

р-76.



5360 50 333

Горький

№ 19-20

1924



შ ი ნ ა რ ს ი:

ვ. ბახტაძე — გამოკვების და წინსვლის 7 წელი.
ლენინი ოქტომბრის წინა დღეებში. ლენინის წე-
ილები.

არჩ. რუხაძე — ოქტომბერი და ჩვენი ეკონომიკა.
ავგ. ბარბიე — კერპი, თარგ. ვ. გაფორინდაშვილის.
ვალერი ბრიუსოვი — თეთრი მერანი, თარგ. ვ. გა-
ფორინდაშვილის.

რაუ. გვეტაძე — ქალი ყავის ფერი პორტყელით.
მ. ვოლოშინი — მადამ დე — დამბალის თავი.
შ. ქიქოძე.

ს. შანშიაშვილი — Lisis poetik.

გრაფიკალ როზაქიძე — ანატოლ ფრანს.

პოლ გუნდლ — აკადემიური, ვიზიტები (თარგ.
იორგი ლომიძის).

ვალერიან გაფორინდაშვილი — ვალერი ბრიუსოვი.

გ. ქუჩიშვილი — მოგონება სოფელზე.

მე. მესხი — ყაზბეგთან.
ვეროის ლიტერატურის ქრონიკა, პორტრეტები
შ. ქეჭიძის ნახატები და ილუსტრაციები.

რედაქციისაგან:

ტენიკურ მიზეზების გამო შემდეგ ნომრისთვის (№ 21)
გადიდო შემდეგი მასალები:

სანდრო შანშიაშვილი — მათრახის პანაშვილი
(დრამა).

მიხ. აღმაშვილი — „შურისმაძიებელი“ (მოთხრობა).

გიორგი ლეონიძე — ოდა შემოდგომას (ლექსი).

დ. ლ — ელი — მოკონებები ლენინზე.

დიმიტრი ყაზბეგი — „მავნე სულები“.

ევნატე იოსელიანი — ყაზბეგის ავტობიოგრაფიის
ი. ასლანიშვილი — მთიულეთში:

მესხეთ-ჯავახეთის ტიპები — (ილუსტრაცია).

ამა წლის 7 ნოემბრიდან ქ. ქუთაისში
გამოდის უოკვალდღური გაზეთი

„წითელი ვარსკვლავი“

ორგანო მე-2 ქართული დივიზიის პო-
ლიტ-განყოფილებისა და ს. კ. პ. ქუ-
თაისის სამაზრო კომიტეტისა: გაზეთი
ღირს თვიურად 70 კ., ცალკე ნომერი 3 კ.

რედაქციისა და კანტარის მისამართი:
ქ. ქუთაისი რ. ლიუქნებურგის ქუჩა, სამ-
ხედრო სტამბის შენობა.

ვ. ბახტაძე
სარედაქციო კოლეგია: კ. გორდელაძე
ა. ნადირაძე



ქ-76.

სკრისი

ოკციონალური სამსახურ-სალიტერატურული უბრუნალი

განცხადების ტარიფი:		ხელის მოწერა:		რედაქციის მისამართი:
ერთი გვყრდი	150 ზ.	ერთი წლით	10 ზან.	რუსთაველის პრ. № 22.
ნასყვარტი გვყრდი	75 ზ.	სამი თვით	3	კონტარის მისამართი:
მოსთყვითელი გვყრდი	50 ზ.	ცალკე ნომერი ყველგან	50 კ.	განათლების სახ. კომისარიატი, საბელ-გამი, ლორის-მელეჟის ქ. № 5.
				მიიღება ხელის მოწერა დილის 8-2 ს.

№ 19-20

პარასკევი, 7 ნოემბერი, 1924 წ. (25 ოქტომბერი)

№ 19-20

137



გამარჯვების და წინსვლის 7 წელი.

1917 წლის ოქტომბერში ამოვარდნილ გრიგალით დაშინებულნი და დამართხლანი—ხნოვანობითაც და სისხლით საკმაოდ მეტად მოძველებული ლიდერები წვრილი ბურჟუაზიისა—ენა მოჩუქებით, მაგრამ კარგად მისახვედრათ წინასწარმეტყველებდნენ: ლენინის გამარჯვება 7 დღის ვადის არის, ამ ხნის შემდეგ ის დაეცემა ისევე, როგორც გაიმარჯვა.

ნ. ჟორდანიას, რომელიც საეგებთ მომხრე იყო ასეთი „მეცნიერულ-მარქსისტული ანალიზის“ ოქტომბერში მომხდარი ამბებისა და მათი ბოლოსი—უმატებდა შეცოდებითაც და ირონიით: გამარჯვების დაკარგვისათან ერთად ლენინი თავის თავსაც წააგებდა.

გავიდნენ დღეები, კვირები, თვეები, წლებიც. 7 დღეს, შვიდი კვირა მოუვა, მას 7 თვე... დღეს კი ჩვენ მოწამენი ვართ იმ უდიდესი წონის, საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ფაქტის, რომელსაც ჩვენ შეჩვეულნი და შესისხლხორციებულნი ოქტომბრის გამარჯვებას უბრა-

ლოთ ვეძახით: 7 წელი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა!

როგორი საცოდაენი, შესაბარალისნი არიან დღეს ყველა ეს კერენსკები, ჟორდანიები, ჩერნოვები და მათი ძმანი და მოყვარენი—თავისი „მეცნიერული“ წინასწარმეტყველებებით, პროვოზებით, ანალიზებით და კიდევ ვინ იცის რა და რით გამართლებულ სიძულვილით ოქტომბრის რევოლუციისადმი—ამ მსოფლიო მნიშვნელობის დატის წინაშე: 7 წელი პროლეტარული რევოლუციის არსებობისა, ბრძოლებისა და გამარჯვებისა.

მხოლოდ ისტორიის მიერ საბოლოოდ განწირულ დივერტატებს და კრეტინებს—თუ ვინღ მეცნიერების დიპლომებითაც—შეუძლიათ დღეს სთქვან და გაიმეორონ ის, რასაც ისინი ან მათი თანამოაზრენი გაპყვირდნენ და წინასწარმეტყველებდნენ დადის რიხით და დაკანონებით—7 წლის წინათ: ოქტომბრის რევოლუციის უნიადგობის, უსაფუძლოობის და მისი სულ მალე—7 დღე,



7 კვირა მაქსიმუმი—დალუპის შესახებ. მხოლოდ საბოლოოდ განწირულ დეგენერატებს და კრეტინებს ვიპოვებთ შეუძლიათ მსგავსი რაიმე განხიზგიონ ან მიიღონ დღეს 7 წლის თავზე სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა. დავა ბოლშევიზსა და მენშევიზს შორის უკვე გადაჭრილია და გადაწყვეტილი. ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში ამ 7 წლის გასწვრივ—წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგია: რეფორმიზმის, მსოფლიო მენშევიზმის სახით საბოლოოდ ჩამოშორდა, ყველა ძველებით, რომლებითაც იგი ოდესღაც უკავშირდებოდა პროლეტარული რევოლუციის გასამარჯვებელ მოძრაობას—მოწყდა რევოლუციონერ მარქსიზმს და მის განხორციელებას ცხოვრებაში: პროლეტარიატის დიქტატორის აუცილებლობისა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

როგორც პარტია კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბუღი კლასიურად შეგნებული პროლეტარიატისა მენშევიზში უკვე არ არსებობს. კომუნისტურმა პარტიამ ეს პოზიციები საბოლოოდ დაიკარგა, მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპის და ამერიკის მუშათა კლასის ჯერ კიდევ მიყვება მენშევიზს—მიდის მის მიერ ნაკარნახევ გზით—მაგრამ ეს გზა არის არა გზა კაპიტალის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლებისა, სოციალისტური წყობილების გამარჯვებისა და პროლეტარიატის საბოლოოდ განთავისუფლებისა, არამედ ეს არის გზა: კაპიტალთან შეთანხმებისა, ბურჟუაზიის შერყობილ წესწყობილებს გამაგრებისა, შეკეთებისა და გადაარჩინისა ამ შედეგისაგან, რომელსაც აწარმოებს მუშათა კლასის შეგნებული ნაწილი კომუნისტური ინტერნაციონალის მეთაურობით. ამ მიზნით, რამდენადაც რეფორმიზმის და მენშევიზმის გაგლეჩის ქვეშ მყოფა ხაწილი მუშათა კლასისათვის თავს თავს იცნებს და სცნობს, როგორც „მუსაფლავეს კაპიტალიზმის“, იგი ანებებს თავს მენშევიზმის და რეფორმიზმის ნაწილებს გზას და იკავებს იმ პოზიციებს, რომლებსაცან ბურჟუაზიასთან შეიძლება იქონიო დამოკიდებულება არა შეთანხმების და რეგულების, არამედ ბრძოლისა, შეტყვისა და, ოდესღაც დრო დადგება, იარაღით ხელში მისი კისერის მოტეხისა...

პოზიციები მენშევიზმისა და კომუნისმისა უკვე საბოლოოდ ნათელია და გარკვეულია. 7 წლის თავზე მუშათა კლასის რუსეთში გამარჯვებისა—ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: მთელ მსოფლიოში ყველგან კომუნისტურმა პარტიებმა განტყველ და საბოლოოდ დაიკავეს პროლეტარიატის ბრძანავისუფლების ერთად ერთი და ისტორიულად გამართლებული პოზიციები კლასთა ბრძოლისა და პროლეტარული რევოლუციის აუცილებელი მოხდენისა სოციალიზმის გასამარჯვებლად...—პროლეტარიატს დღეს უკვე ყავს თავისი ინტერესების დამცველი, ნამდვილი, მემბროლი პარტიები, ორგანიზაციულად და პროგრამულად ნამრავლიმებლი—ეს უდიდესი გამარჯვება და უდიდესი მიწვევა. ტყუილად წუწუნებენ ზოგიერთი ცოტა კომის მსგავს მატერიალისაგან შემდგარი „მემარცხენი“ რევოლუციის საქმე განწირულისა, კაპიტალიზმში უკვე გამარჯვა, პროლეტარიატს სინავს. სწორად რომ ამ მოწუწუნებ „რევოლუციონერების“ საქმეა განწირული, თორემ რევოლუცია წინ მიდის იზღიბა, დროიდება— მეთაური მას უკვე ყავს

კომუნისტური პარტიების სახით. სწორედ რომ უბედურეებს სძინავთ, თორემ პროლეტარიატი საქმად ფხილთა არის, რომ ხელსაყრელ დროისათვის ისეთი წიხლი ჰქვას ვაბატენებული კლასების ტახტს, რომ იგი ყირამა წაიქცეს... ჩვენ ვურჩევდით მოწუწუნებ „რევოლუციონერებს“—თქვენც ფხილათ იყავით თორემ ვაი, თუ ქვეშ მოყვეთ ბურჟუაზიის წაქცეულ ტახტს...

მართალია და ამას ჩვენ არც ემაღავთ—ტემპი მსოფლიო რევოლუციის განვითარებისას ისე ჩქარა არ მიდის, როგორც ეს ჩვენ ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში გვეგონა... მაგრამ საერთო სვლა და ამ სვლის კანონები იგივეა რაიც ოქტომბერმა გვაჩვენა და მოგვიხანა 1917 წ.

მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების დავიანებით, რასაკვირრელია, უდიდესათ რთულდება და საბოლოო რესპუბლიკების არსებობის შენარჩუნება მათ სოციალისტურ ნიდაღზე შენება... ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა 7 წლის თავზე? ვადაჭრით შეიძლება ითქვას, ამაში ვერაივინ ვერ დაინახავს რაიმე ვადამტებს:—არასდროს ამ 7 წლის განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა საგარეო და შინაური არ ყოფილა ისეთი მტკიცე, მაგარი და ყოველ მხრივ შურევი, როგორც ახლა... მნიშვნელოვანი მიღწევანი სამეურნეო ფრონტზე, რომლებიც საბოლოოდ აქარწყლებენ მტკიცებას პროლეტარიატის უძლურებისა აღმშენებლობით საქმეებში—ევროპის მიერ ხელის აღება ბოლკადა—ინტერვენციებზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ—რამაც გააძლიერათ საფრანგეთის შეუიჯებლობის ყინვა... ყოველივე ეს ნათლად, სანაშინაო სინარქიზით და ყველასათვის სასაგებად მოწმობენ იმ უდავო მზავს—ბეგრისათვის შეიძლება არც ისე ვასახარს—რომ 7 წლის თავზე პროლეტარიატის გამარჯვებისა საბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგინენ შურევი და უძლევ ციხეს მსოფლიო მუშათა კლასისა...

ცხადია, ყოველივე ეს იმას სულაც არ ნიშნავს—რომ ოქტომბერში 7 წლის წინათ დაწყებულმა საქმემ საბოლოოდ გამარჯვა, რომ ყველა დაბრკოლებანი უკვე ძლუულია, რომ სავალი გზა წინ ვარდ-იათი არის მოფენილი... არა! პირიქით! გიდაწყვეტი ბრძოლები ჯერ კიდევ მომავალი ინახებიან... გენერალური შტაკება შრომისა და კაპიტალისა—ჯერ კიდევ ხვალანდელ დღეს ეკუთვნის... ამიტომ საბჭოთა რესპუბლიკების წინსახილ ზეზუტი ნარ-ეკლთ არის მოცული და მრავალ დაბრკოლებებით გადახლართული... თავის მოტყუება და თავლების წინ ფარდის ჩამოშება ოქტომბრის ავტორის პარტიას არ სჩვეია. უდიდეს მიღწევებითან და გამარჯვებებთან ერთად ჩვენ ვხვდავთ ავრთვე უდიდეს დაბრკოლებებს და მთელ სიტკატრეს მომავალ ბრძოლებისა... წარსული შეიდი წელი თავდებია იმის, რომ მომავალი ჩვენი იქნება... ისტორიამ ეუქო სიტკა თავისი უკანასკნელი სიტყვა—გამარჯვება კეთუების პროლეტარიატს.

და ეს იქნება კაპიტალიზმის გამარჯვება—რადგან ეს იქნება გამარჯვება ყველა დაჩაგრული კლასებისა და ყველა დაჩაგრული ერების.

როგორც ყოველთვის: წელ-გამართლენი, ყოველივე შიშის და გულვატეხილობის გარეშე, მკოდნენი ჩვენი გამარჯვების აუცილებლობის—ჩვენ ვევატებით ახალ მე-8 წელს ოქტომბერში მომდარი გამარჯვებისა...

ოქტომბრის გულაღები



ამხ. ურიციძე.



ამხ. სვერდლოვი.

ლანიჩი ოქტომბრის წინა დღეებში.

გამოსათხოვარი წერილი შვეიცარიის მუშებს.

ამხანაგო შვეიცარიის მუშებო!

რუსეთში გამგზავრების წინ, რევოლუციონურ-ინტერნაციონალისტური მუშაობის გასავრცელებლად ჩვენს სამშობლოში, ჩვენ, წევრები რ. ს. დ. მ. პ., რომელიც გავრთიანებულია ცენტრალური კომიტეტით, რითაც ის განიჩევა იმავე სახელწოდების მატარებელ, მაგრამ „საორგანიზაციო კომიტეტით“ გავრთიანებულ მეორე პარტიისაგან, გიძღვნი თქვენ ძმურ სალამს და ამხანაგურ მადლობას ემიგრანტებისადმი ამხანაგური დამოკიდებულების გამო.


თუ აშკარა სოციალ-პარტიოტები და ოპორტუნისტები, შვეიცარიელი გრიუტლიანელები, რომლებიც, ისე როგორც ყველა ქვეყნების სოციალ-პარტიოტები, პროლეტარიატის ბანაკიდან ბურჟუაზიის ბანაკში გადავიდნენ, თუ ეს ხალხი აშკარად გიწვევდათ თქვენ შვეიცარიის მუშათა მოძრაობაზე უტოვებლის მივებელი გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად,—თუ ფარული სოციალ-პარტიოტები და ოპორტუნისტები, რომლებიც შვეიცარიის სოციალისტური პარტიის ბელადებში უმრავლესობას შეადგენენ, ფარული ფორმით იმავე პოლიტიკას ატარებდნენ,—მაშინ ჩვენ უნდა განვცხადოთ, რომ ინტერნაციონალისტურ თვალსაზრისზე მდგომ შვეიცარიის რევოლუციონურ სოციალისტურ მუშების მხრივ, ჩვენ ვხედვით დიდი მხურვალე თანაგრძობას და დიდ სარგებლობას ვნახულობდით მათთან ამხანაგურ განწყობილებაში.

ჩვენ, ყოველთვის ფრთხილად ვიკეოდიდ შვეიცარიის მოძრაობის ისეთ საკითხებში გამოსვლის დროს, რომელთა გასაცნობად საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა ადგილობრივ მოძრაობაში. მაგრამ ჩვენს შორის ისინი,

რომლებიც, რიცხვით არა უმეტეს 10—15 კაცისა, შვეიცარიის მუშათა პარტიის წევრები იყვნენ, თავის მოვალეობად სთვლიდნენ, რომ საერთაშორისო, სოციალისტური მოძრაობის საერთო და ძირითად საკითხებში, დაცვით ჩვენ თვალსაზრისი, „ციმმერვალდის მემარცხენის“ თვალსაზრისი, გადაჭრით ებრძოლათ, არა თუ სოციალ-პარტიოტების, არამედ ეგრედწოდებული „ცენტრის“ წინააღმდეგ, რომელსაც ეკუთვნის რ. გრიმში, ფ. შნიდერი, ი. შპილტი და სხ. შვეიცარიაში, კაუტსკი, პაახე, „არბიტერ-გემეინშაფტი“ გერმანიაში, ლონგე, პრესმანი და სხ. საფრანგეთში, სნოლდენი, რამზეი მაკდონალდი და სხ. ინგლისში, ტურატი, ტრევესი და მათი მეგობრები იტალიაში, ზემოაღნიშნული „საორგანიზაციო კომიტეტი“ (აქსელროდი, მარტოვი, ჩხეიძე, სკობელევი და სხ.) რუსეთში.

ჩვენ სოლიდარულად ვმუშაობდით შვეიცარიის იმ რევოლუციონურ სოციალ-დემოკრატებთან, რომლებიც ნაწილობრივ ეურნალ „ფრეიე იუნგლსის“ გარშემო იკრიბებოდნენ, რომლებიც აღდგენდნენ და ავრცელებდნენ რეფერენდუმის მოტივებს (გერმანულ და ფრანგულ ენაზე), სადაც წამოყენებული იყო 1917 წლის აპრილში პარტიული ყრილობის მოწვევის მოთხოვნებიც,—რომლებსაც შეჰქონდათ ციურისის საკანტონო ყრილობაზე Toss-ში ახალგაზრდებისა და „მემარცხენეთა“ რეზოლუციის ომის საკითხის გამო,—რომლებმაც გაშოსცეს და ვაავრცელეს 1917 წლის მარტში ფრანგული შვეიცარიის ზოგადი ნაწილებში ფურცელი ფრანგულ და გერმანულ ენებზე „ჩვენი საზოგადო პირობები“ და სხ.

ჩვენ ვუგზავნით ძმურ სალამს ამ ამხანაგებს, რომ-



მუშა კალინინი

ლებთანაც ჩვენ ხელი-ხელს ჩაკიდებული ვმუშაობდით, როგორც თანამოაზრენი.

ჩვენ არავითარი ეჭვი არ გვეპარებოდა და არ გვეპარება იმაში, რომ ინგლისის იმპერიალისტური მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებს რუსეთში რუს ინტერნაციონალისტებს, რომლებიც შეურიგებელი მოწინააღმდეგენი არიან რუსეთის მიერ იმპერიალისტური ომის გაგრძელებისა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მოკლედ უნდა შეეჩერდით იმაზე, თუ როგორ გვემის ჩვენ რუსეთის რევოლუციის ამოცანები. ჩვენ მით უმეტეს აუცილებელ საკითხებად ვსთვლით ამას, რომ შევიცარიის მუშების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ, და უნდა მივმართოთ კიდევაც, გერმანულ, ფრანგ, იტალიურ მუშებს, რომლებიც იმავე ენებზე ლაპარაკობენ, რა ენებზეც ლაპარაკობს შედარებით ყველაზე მეტი პოლიტიკური თავისუფლების მქონე შევიცარიის მოსახლეობა.

ჩვენ უშუალოდ ვიცავთ ისევ იმ განცხადებას, რომელიც ვაკავით თქვენვაში გამოცემულ ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში, გაზეთ „სოციალ-დემოკრატ“-ს 1915 წლის 13 ოქტომბრის 47 №-ში. ჩვენ განვაცხადეთ იქ, რომ, თუ რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა და ხელისუფლება ისეთ რესპუბლიკანური მთავრობის ხელში გადავიდა, რომელიც მოისურვებს იმპერიალისტური ომის გაგრძელებას კონსტანტინოპოლის, სომხეთის, გალიციის და სხვა ასეთის ხელში ჩასაგდნად, მაშინ ჩვენ ვიქნებით თავგამოდებული მოწინააღმდეგენი ასეთი მთავრობისა, ჩვენ ვავილაშქრებთ ასეთ ომში „სამშობლოს დაკვის“ წინააღმდეგ.

დავდა დაახლოვებით ასეთი შემთხვევა. რუსეთის ახალი მთავრობა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ნიკოლოზ მეორეს მძასთან რუსეთში მონარქიის აღდგენის შესახებ, და რომელიც მთავარი, გადამწყვეტი პოსტები მონარქისტ ლევისა და გუტკის ეკუთვნოდა, ეს

მთავრობა ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მუშები იმ ლოზუნგით, რომ „გერმანელებმა უნდა დაამხონ ვილჰელმი“ (მართალია, მაგრამ რატომ არ უნდა დაეუძახხოთ: ინგლისელებმა, იტალიელებმა და სხვებმა—თავიანთი მეფეები, ხოლო რუსებმა კი—თავისი მონარქისტები ლევი და გუტკოვი?). ეს მთავრობა ცდილობს ასეთი ლოზუნგის საშუალებით, იმ იმპერიალისტურ, ყაჩაღურ ხელშეკრულებათა გამოუქვეყნებლად, რომლებიც ცარიზმმა დასლო ინგლისთან, საფრანგეთთან და სხვებთან და რომლებიც დადასტურებული არიან გუტკოვი-კერენსკის მთავრობის მიერ, გაასაღოს როგორც „თავდაცვის“ (ესე იგი სამართლიანი, კანონიერი თვით პოლეტარიატის თვალსაზრისითაც კი) თავისი იმპერიალისტური ომი გერმანიასთან, გაასაღოს რესპუბლიკის „დაცვა“ (რესპუბლიკის, რომელიც რუსეთში ჯერჯერობით არ არის და რომლის დაარსებას ლევი და გუტკოვი არც კი დაპირებიან), რუსეთის, ინგლისის და სხვათა კაპიტალის მტაცებელი, ყაჩაღური, იმპერიალისტური მიზნების დასაცვა.

თუ მართალია უკანასკნელი დამკვირვებების ცნობები, რომ ვითომც რუსეთის აშკარა სოციალ-პარტიოტების (პლენარისის, ზასულინის, პორტუგოვის და სხვების) და „ცენტრის“ პარტიის, ჩხეიძისა, სკობლევის და სხვათა „საორგანიზაციო პარტიის“ შორის მოხდა რაღაც დაახლოვების მაგვარი იმ ლოზუნგის ნიადაგზე, რომელიც გაიხიბას: „ვიღებ გერმანელებს არ ჩამოაღდგენ ვილჰელმს, ჩვენი ომი თავდაცვითია,“—თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენ ვაორკეცებელი ენერჯით ვაწარმოებთ ბრძოლას ჩხეიძის, სკობლევის და სხვების პარტიის წინააღმდეგ, ბრძოლას, რომელსაც ჩვენ წინაღ ყოველთვის ვაწარმოებდით ამ პარტიასთან მიმართულ პოლიტიკურ, პერსონალურ პოლიტიკური მოქმედების გამო.


ჩვენი ლოზუნგია: არავითარი დახმარება გუტკოვი-ლიუიჯოვის მთავრობას. ატყუებს ხალხს ის, ვინც ვამბობს, რომ ასეთი დახმარება საჭიროა ცარიზმის აღდგენის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის. პირიქით, სწორედ გუტკოვის მთავრობა აწარმოებდა უკვე მოლაპარაკებას რუსეთში ცარიზმის აღდგენის შესახებ. მხოლოდ პროლეტარიატის შეიარაღება და ორგანიზაციის შეუქმნა იხსნას კაკობრიობა იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგობისაგან.

ჩვენ არ ვარიდებთ თვალს იმ უდიდეს დაბრკოლებებს, რომლებიც რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტური ავანგარდის წინაშე სდგას. ისეთ დროს, როგორც ამ ვამად არის, შესაძლებელია მიხედვით სრულიად მოულოდნელი და საზოგადოებრივი ცვლილებები. „სოციალ-დემოკრატის“ 47 №-ში ჩვენ პირდაპირ და ნათლად ვუპასუხეთ ბუნებრივად წამოჭრილ კითხვებზე: რას ვაკეთებდა ჩვენი პარტია, მისთვის რომ ჩაეპარებოდა რევოლუციის ხელისუფლება მათხვევით? ჩვენ ვუპასუხეთ: 1) ჩვენ დაუყოვნებლივ მივმართავდით ყველა მეომარ სახელმწიფოებს საზოგადოებრივად დახმარებას; 2) ჩვენ გამოვაქვეყნებდით ჩვენს საზოგადოებრივ, რომელიც მდგომარეობს ყველა ახალშენებისა და ყველა დაძვინჯებული და უფუფულო ერების დაუყოვნებლივ განთავისუფლებაში; 3) ჩვენ დაუყოვნებლივ შევუდგებოდით და ბოლომდე მივიყვანდით დიდ-რუსეთის მიერ დამონებული ერების განთავისუფლებას; 4) ჩვენ ერთი წუთითაც


ჩაპოვნიკის გულადები



ს. ორჯონიკიძე



მ. ცხაკაია



გ. მახარაძე

არ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ ასეთი პირობები მიუღებელი იქნება არა თუ მონარქიულ, არამედ თვით რესპუბლიკანურ გერმანიისთვის, და არა მარტო გერმანიისთვის, ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტური მთავრობებისთვისაც ავრთვევ.

ჩვენ მოგვიხსენებდა ბრძოლის წარმოება გერმანიის — და არა მარტო გერმანიის — ბურჟუაზიასთან. ჩვენ ვაწარმოებდით მას. ჩვენ არა ვართ პაკიფისტები. ჩვენ წინააღმდეგი ვართ კაპიტალისტებს შორის ნადავლის გასაყოფად წარმოებული იმპერიალისტური ომისა, მაგრამ ჩვენ ყოველთვის შესაბამისად მიგვაჩნია, თუ რომ რევოლუციონერთა პროლეტარიატი უარყოფდა რევოლუციონერთა ომებს, რომელიც შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს სოციალიზმის ინტერესებისათვის.

ამოკანა, რომელიც ჩვენ შემოვხაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ მე 47 №-ში, გიგანტურად დიდია. ის შეიძლება გადაიქცეს პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შორის მთელი რიგი უღიღესი კლასიურ ბრძოლებად. მაგრამ არა ჩვენმა მოუთმენლობამ, არა ჩვენმა სურვილებმა, არამედ ობიექტიურმა პირობებმა, რომლებიც იმპერიალისტურმა ომმა შექმნა, შეიყვანა მთელი კაცობრიობა ჩიხში და დაუყენა წინ დიღობა: ან დალუპავს უნდა მიეცეს კიდევ ადამიანთა მილიონები და ძირიანფესვიანად განადგურდეს ევროპის კულტურა, ან ყველა განათლებულ ქვეყნებში ძალა-უფლება უნდა გადავიდეს რევოლუციონერთა პროლეტარიატის ხელში და განხორციელდეს სოციალისტური გადატრიალება.

რუსეთის პროლეტარიატი წილად ხვდა იმპერიალისტური ომის მიერ ობიექტიური აუცილებლობით გამოწვეული რევოლუციითა მთელი რიგის დაწყების უღიღესი პატივი. ნაგრამ ჩვენ ამსოლუტურად შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ჩავთვალოთ რუსეთის პროლეტარიატი არჩეულ რევოლუციონერ პროლეტარიატად სხვა ქვეყნების მსგავსა შორის. ჩვენ მშვენიერად ვიცით, რომ რუსეთის პროლეტარიატი ნაკლებად დარაზნულია, ნაკლებ მონაზღებელი და შეგნებელი, ვიდრე სხვა ქვეყნების მსგავსები. არა განსაკუთრებულმა ღირსებებმა, არამედ განსა-

კუთრებულად შექმნილმა ისტორიულმა პირობებმა დააყენა რუსეთის პროლეტარიატი განსაზღვრულ, შეიძლება მტად მოკლე ხანის განმავლობაში, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლად.

რუსეთი გლეხური ქვეყანაა, ყველა ქვეყანაზე უფრო ჩამორჩენილი მთელ ევროპაში. უშუალოდ ვერ შესძლებს იქ სოციალიზმი მაშინვე გაბარჯვებას. მაგრამ ქვეყნის გლეხურ ხასიათს, იმ მიწის უხარმაზარ ფონდებთან ერთად, რომელიც მემამულე თავად-აზნაურობას აქვს იქ შერჩენილი, 1905 წლის გამოცდილების ნიადაგზე, შეუძლია მისცეს რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას უღიღესი გაცხენება, შესავალი მსოფლიოს სოციალისტურ რევოლუციაცოში, ერთი საფეხური იმისკენ.

ამ 1905 წლისა და 1917 წლის გახაფხულის გამოცდილებით დადასტურებულ იდეებისათვის ბრძოლაში გამოიკვდა ჩვენი პარტია, რომელიც შეურიგებლად ილაშქრებდა და ილაშქრებს ყველა დანარჩენი პარტიების წინააღმდეგ, და ამ იდეებისათვის ვიბრძოლებთ ჩვენ შემდეგშიც.

რუსეთში არ შეიძლება, რომ უშუალოდ და დაუყოვნებლივ სოციალიზმმა გაიმარჯვოს. მაგრამ გლეხურ მასას შეუძლია აუცილებელი და მომწიფებული ავარაულო საკითხი მემამულეების მიელი შეარმაზარი მიწათმფლობელობის კონფისკაციამდე მიიყვანოს. ამ ლოზუნგს ვაყენებდით ჩვენ ყოველთვის და ეს წამოაყენა ახლაც პეტერბურგში ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩვენი პარტიის ვაჟთმა „პრავდამ“. ამ ლოზუნგისათვის იბრძოლებს პროლეტარიატი, რომელიც ამასთანავე თვალს არ არიდებს სასოგლო მურწუნობის მიერ დაქირავებული მუშებისა და მათი მომხრე უღარიბესი გლეხების გაუფრთხილებელი კლასიური შეტაკების აუცილებლობას შეძლებულ გლეხებთან, რომლებიც გადაიღერა სტოლიპინის (1907—1914) ავარაულო რეფორმამ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ 104 გლეხთა დემუტატმა პირველ სათათბიროში (1906) და მეორეში (1907) წამოაყენა ავარაულო საკითხი, რომელიც მოითხოვდა ყველა მიწების ნაკონალიზაციის და სრული დემოკრატიზმის საუფუქ-



ლებზე არჩეული ადგილობრივი კომიტეტების განკარგულებაში მათ გადაარიცხვას.

ამგვარი გადატრიალება თავისთავად ჯერ კიდევ, რა თქმა უნდა, სოციალისტური არ იქნება, მაგრამ ის შეიძლება გახდეს მსოფლიო მუშათა მოძრაობის დიდი იმპულსი. ის მეტად გაამაგრებს რუსეთში სოციალისტური გადატრიალების პოზიციას და მის გავლენას სასოფლო-სამეურნეო მუშებზე და უღარიბეს გლეხებზე. ის საშუალებას მისცემს ქალაქის პროლეტარიატს, ამ გავლენაზე დაყრდნობით, გააფართოვოს ისეთი რევოლუციონური ორგანიზაციები, როგორც არის „მუშათა და გლეხთა საბჭოები“, შესცვალოს ამ ორგანიზაციებით ბურჟუაზიული სახელმწიფოების ძველი ჩაგრვის იარაღები—არმია, პოლიცია, მოხელეობა, და გაატაროს, აუტანელი იმპერიალისტური ომის და მისი შედეგების გავლენით, პროლეტების წარმოებასა და განაწილებაზე კონტროლის დასაწესებლად მთელი რიგი რევოლუციონური ზომებისა.

რუსეთის პროლეტარიატს არ შეუძლია მარტოოდენ თავისი ძალებით **ძღვეამოსილად დამთავრის** სოციალისტური რევოლუცია. მაგრამ მას შეუძლია მისცეს რუსეთის რევოლუციას ისეთი გაქანება, რომელიც შუკშენის საუკეთესო პირობებს მისთვის, რომელიც ასე ესთქვათ, **დაიწყებს მას.** მას შეუძლია გააადვილოს თავისი **მოავარი**, ყველაზე უფრო საიმედო თანამშრომლის, **ვერაძისა** და ამერიკის პროლეტარიატის გადაწვევტ ბრძოლაში ჩაბმის პირობები.

დაე მცირე რწმენის ხალხი მიეცეს უიმედობას იმის გამო, რომ ევროპის სოციალიზმში დროებითი გამარჯვება წილად ხვდათ იმპერიალისტური ბურჟუაზიის ისეთ სახიზლარ ლაქებს, როგორც არიან შეიდემანები, ლევინები, დავიდები და კომპანია გერმანიაში, სპაზა, გელი, რენოლდო და სხვა ასეთები საფრანგეთში, ფაბიანელები და „ლბურისტები“ ინგლისში. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ამ **ბინძურ ქაფს** მალე მოიხდის თავიდან მსოფლიო მუშათა მოძრაობაში რევოლუციის ტალღები.

გერმანიაში უკვე **ხდულს** სულიერი განწყობლება პროლეტარული მასისა, რომელმაც დაუფასებელი სამსახური გაუწია კაცობრიობას და სოციალიზმს თავისი შეუღრმევი, დეჟინებული, გამოქონლი სთორგანიზაციო მუშაობით მთელი ათეული წლების მანძილზე ევროპაში დამყარებული „სიწყნარის“ განმავლობაში 1871 წლიდან 1914 წლამდე. გერმანიის სოციალიზმის მომავალს არ წარმოადგენენ მოლაღატე შეიდემანელები, ლევინები, დავიდები და კომპანია და არც ისეთი მერყევი, „შვედოზმანი“ პერიოდის რუტინით. გაქვლეთილი პოლიტიკოსები, როგორც არიან ჰაზე, კაუტცი და სხვები იმათი მსგავსი.

ეს მომავალი ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომელმაც წარმოშვა ლბქენტო, რომელმაც შექმნა „სპარტაკუს“-ის ჯგუფი, რომელიც აწარმოებდა პროპაგანდას ბრემენის „აბმეტერ პოლიტიკა“-ში.

იმპერიალისტური ომის ობიექტიური პირობები არის იმის თავდები, რომ რევოლუცია არ გათავდება მარტო რუსეთის რევოლუციის **პირველი ეტაპით**, რომ რევოლუცია არ შეჩერდება მარტო რუსეთზე.

გერმანიის პროლეტარიატი უერაფლესი და ყველაზე საიმედო მოკავშირეა რუსეთისა და მთელი კვეპნის პროლეტარული რევოლუციის.

როდესაც ჩვენმა პარტიამ 1914 წლის ნოემბერში წამოაყენა „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად



ამერიკელი მწერალი **ჯონ რიდ** ოქტომბრის მონაწილე.

გადაქცევის“ და დაჩაგრულების მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამხედრების ლოზუნგი—მაშინ ამ ლოზუნგს შეეძენს სოციალ-პარტიოტები გესლიანი დაცნებით და სოციალ-დემოკრატის „ცენტრი“ უნდობარ-სკეპტიკური სიწმით. გერმანელმა სოციალ-შოგინისტმა და სოციალ-იმპერიალისტმა დავიდმა უწოდა მას „გეჟური“, ხოლო რუსეთის და ინგლის-საფრანგეთის სოციალ-შოგინიზმის, სიტყვით სოციალიზმის და საქმით კი იმპერიალიზმის, წარმოადგენელმა ბ. პლეხანოვმა კი „ცენტრის ფარსი“ (Mittel-ding Zwischen Traum und Komödie). ხოლო „ცენტრის“ წარმომადგენლები კი ცქყაფილდემოდენ სიწმით და უკბილო ხუმრობით ამ „უჭარო სივრცეში სწორი ხაზის გაკვანის“ გამო.

ახლა კი 1917 წლის მარტის შემდეგ, მხოლოდ ბრმას შეუძლია არ დაინახოს, რომ ეს ლოზუნგი სწორეი. უკვე ფაქტი **ხდება** იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა.

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციას, რომელიც ევროპაში იწყება.

რუსეთში მიმავალი აზნანავების, რ. ს. ლ. ე. მ. პარტიის (ცენტრალური კომიტეტით გავითიანებულის) წევრების მონდობლობით, რომლებმაც ეს წერილი მიიღეს 1917 წლის 8 მარტის სხდომაზე ახალი სტილით.



ლენინის წერილი რ. კ. ვ. ც. კომიტეტისადმი მიწერილი 1917 წლის სექტემბრის დამდგმ.

შეიძლება ამ სტრიქონებს დაავიანდეს ვინაიდან ამგები ვითარლებიან თითქმის თავებრულამსმელი სისწრაფით. მაგრამ მანც მოველოვობათ ვსოვლი მოგწეროთ შედეგე.

კორნილოვის აჯანყება მეტად მოულოდნელი (მოულოდნელ ასეთ დროს და ასეთი სახით) და პირდაპირ დაუფერებლად მკაცრი მოგრება მიმდინარე ამგებში.

როგორც ყოველი დიდი გადატეხა, ის მოითხოვს ტაქტიკის გადასიჯვას და მის შესწორებას. და, როგორც საერთოდ ყველა გადასინჯვის დროს, უნდა დატული იქნას ფარესი სიფრთხილუე, რომ უპრინციპობაში არ გადავარდეთ.

ჩემის რწმენით, უპრინციპობაში ვარდებიან ისინი, რომლებიც „ობორონცობამდე“ ან (როგორც ზოგიერთი სხვა ბოლშევიკები) ესტრებთან **ბლოკამდე** და დროებითი მთავრობისათვის **დახმარების გაწეამდე** დაქანებულან. ეს დიდი შეცდომა არის, ეს არის უპრინციპობა. ჩვენ „ობორონცები“ გავხვდებით **მხოლოდ** ძალაუფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლის შემდეგ. ზღვის საკითხის დაყენების შემდეგ, საიდუმლო ხელშეკრულებათა და ბანკებთან რევიზიის დაშლის შემდეგ, **მხოლოდ შემდეგ**. ვერც კივს, ვერც პიტერის აღება ჩვენ „ობორონცებამდე“ ვერ გავხვდის. მანამდე ჩვენ ვართ პრეტარული რევოლუციის მხარეზე, ომის წინააღმდეგ, ჩვენ არა ვართ „ობორონცები“.

კერესკის მოავრობას ჩვენ ახლაც კი არ უნდა დავუვებნაროთ. ეს არის უპრინციპობა, ოკთხავენი: ნუ თუ კორნილოვის წინააღმდეგ არ უნდა ვიბრძოლოთ? რა თქმა უნდა, კი. მაგრამ ეს ერთი და იგივე არ არის, აქ არის საზღვარი; ამ საზღვარს სცილდებიან ზოგიერთი ბოლშევიკები და მით „შემთანხმებლობაში“ ვარდებიან და **მიპყვებინ თან** ამგებების მიმკვდარ ღელეს.

ჩვენ ვიბრძობებთ, ჩვენ ვერძებთ კორნილოვს, მაგრამ ჩვენ მხარს არ უჭერთ კერესკის, არამედ ნილაბსა ვხვდით მას. ეს განსხვავება საკმაოდ ფაქიზია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია და მისი დაფიქრება არ შეიძლება. რაში ვამოხიბებება ჩემი ტაქტიკის შეცვლა კორნილოვის აჯანყების შემდეგ?


იმაში, რომ ჩვენ ვსცვლით კერესკისთან ბრძოლის ფორმებს. ჩვენ ერთი ნიშნითაც არ ვანელებთ ჩვენ შეუღლ მისდამ, ერთ მას წინააღმდეგ ნათქვამ სიტყვასაც არ ვიღებთ უკან, არ უარყოფთ კერესკის ჩამოყვდენის ამოცანას, მაგრამ ჩვენ ვამბობთ: **აღლო უნდა ავუღლით მომენტს**, ახლა ჩვენ კერესკის არ ვამბობთ, ჩვენ **სხვანაირად** მიუღვებებით ახლა მასთან ბრძოლის ამოცანას და აი როგორ: ჩვენ განუშარტავთ ხალხს (კორნილოვის წინააღმდეგ მებრძოლს) კერესკის **სისუსტეს და მერყობას**. ეს წინააღც ხდებოდა. მაგრამ ახლა კი არის მთავარი: ამაშია ცვლილება.

ღიახ; ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ ახლა მთავარი შეიქმნა: კერესკისადმი ასე ვსთქვათ „ნაწილობრივი მოთხოვნილებების“ გამო აგიტაციის გაძლიერე-

ბა—დაპატიმრე მილოუკოვი, შევიარლე პიტერის მუშეები, მოიყვანე კრონშტადტის, ვიბორის, ჰელსინგფორის ჯარები პიტერში, გარეკე სახელმწიფო სათათბირო, დააპატიმრე როძიანკო, დააკანონე გლეხებისათვის გემამუღლების მიწების გადაცემა, დააწესე მუშათა კონტროლი პეტრე, ქარხნებზე და სხვა და სხვა. და არა მარტო კერესკის, არა იმდენად კერესკის უნდა წავუყენოთ ეს მოთხოვნილებები, რამდენადაც კორნილოვთან წარმოებულ ბრძოლით **გააცემა** მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს. უნდა გაეძლიეროთ მათი გაცემა, წაიქეზოთ მათ მიერ კორნილოვის მომხრე ოფიცერების დაპატიმრების მოთხოვნა, დაბეჯითებით მოვათხოვინოთ თვით მათ გლეხებისათვის მიწების გადაცემა, ჩავავანოთ მათ ის აზრი, რომ აუცილებელია როძიანკის და მილოუკოვის დაპატიმრება, სახელმწიფო სათათბიროს გაწეკვა, „რეისი“ და სხვა ბურჟუაზული ვაჭრებთან დახურვა და გამძობების დანიშვნა მათზე. განსაკუთრებით მემარცხენე ესტრები უნდა წაეაქებოთ ამ მიმართულებით.

შეცდომა იქნება ვითყვით, რომ ჩვენ უფრო დავსცილდით პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დამპყრობის ამოცანას. არა. ჩვენ მეტის მეტად დაუახლოვდით მას, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ **გვერდლან**. და ჩვენ აგიტაციას უნდა ვეწყოთ ამ წუთში კერესკის წინააღმდეგ არა იმდენად პირდაპირ, რამდენადაც არაპირდაპირ, მის წინააღმდეგ, მაგრამ არაპირდაპირ, მაგათათად: უნდა მოვიზოვოთ აქტიური და უპატიურესი ომი კორნილოვთან. ამ ომის განვითარება ერთად ერთი შესესლებს მიგვიყვანოს ჩვენ ხელისუფლებასთან, მაგრამ ამის შესახებ აგიტაციის დროს ნაკლები უნდა ვილაპარაკოთ (უნდა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ ხვალვე შეძლოთ საქმის ვითარება ჩავავარდოს ხელისუფლება და მასში ჩვენ მას აღარ ვაგუშუვებთ ხელიდან). ჩემის აზრით ჩვენ უნდა ვაცნობოთ წერილობით (და არა ბეჭდვითი ოჯანოების საშუალებით) აგიტატორების კოლეჯის, პროპაგანდისტების და საერთოთ პარტიის წევრებს. ყოველგვარ ფრაზებს ქვეყნის დაცვის, რევოლუციონერი დემოკრატის ფორნის გაერთიანების, რობოტით მთავრობისათვის მხარის დაჭერის და სხვა ასეთების შესახებ შეუბრძოლელად უნდა ვებრძობოთ, სწორედ როგორც **ფრაზებს**. ახლა კი **საქმის** დროა თქო, ოსი კორნილოვის წინააღმდეგ რევოლუციონერად უნდა ვაწარმოებდით, მასტებს სათრავით, მათი აზნუდრებით და ანთერით (კერესკის კი ეშინია მასების, ეშინია ხალხის). გებრანელებს წინააღმდეგ ომში სწორედ ახლა არის საჭირო **საქმე**: მაშინვე და ყოველ მიწებს და გლეხთ მიეცეთ **სახავო წინააღმდეგ გარკვეულ** პირობებზე. თუ ეს შესრულებული იქნება, მაშინ შეიძლება ან ზავის დროე მოკლება, ან ომის რევოლუციონერ ომად გადაქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მენშევიკები და ესტრები რბიზიან იმპერიალიზმის ლაქებზე.

წაეკითხეთ რა, ამ წერილის დაწერის შემდეგ, „რა-ბოჩის“ ექვსი ნომერი, უნდა ვსთქვათ, რომ აზრთა სრულ იგივეობას ჰქონდა ადგილი. სულით და გულით გესალმები საუცხოვო მოწინავეებს, პრესის მიმოხილვას და ვ. მ—ნის და დოლ—სკის წერილებს.



მ. გოგოლის უკანასკნელი პორტრეტი.

ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელში ძალაუფლება.

ორივე სატახტო ქალაქების მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში უმრავლესობის მიღების შემდეგ, ბოლშევიკებს შეუძლია ძალაუფლების ხელში აღება და კიდევაც უნდა აიღონ იგი.

შეუძლიათ, ვინაიდან ორივე სატახტო ქალაქების მცხოვრებთა რევოლუციონური ელემენტების აქტიური უმრავლესობა საკმაო იმისათვის, რომ გაიტაცონ მასები, სძლიონ მოპირდაპირის წინააღმდეგობა, დაამარცხონ ის, დაიპყრან ძალაუფლება და შეინარჩუნონ იგი. ვინაიდან, იმავე წამს საზავო წინადადების წაშორებით, გლეხებისათვის მაშინვე მიწების ღარიგებით, კერესკის მიერ დამარხულ დემოკრატიულ დაწესებულებების და თავისუფლებებისათა აღდგენით, ბოლშევიკებს შეუძლია თავის მთავრობის იმდენად განმტკიცება, რომ მის უკვე ვეღარაინ ჩამოაგდებს.

ხალხის უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა. ეს დამტკიცა გრძელმა და მძიმე გზამ 6 მაისიდან 31 აგვისტომდე და 12 სექტემბრამდე: სატახტო ქალაქების საბჭოებში

უმრავლესობა ხალხის ჩვენს სახარგებლოთ განვითარების ნაყოფს წარმოადგენს. ესერების და მენშევიკების მერყეობა, ინტერნაციონალისტების გაძლიერება მათ შორის იმავე ამტკიცებს.

დემოკრატიული თათბირი არ წარმოადგენს რევოლუციონური ხალხის უმრავლესობას, ის არის მხოლოდ შემთანხმებელი წვრილ-ბუფუაზიული ზედაფენები. არ შეიძლება, რომ არჩევნების ციფრებს ოავი მოვაცუქულებინოთ, არჩევნებში არ არის საკმე: შეადარეთ ერთმანეთს არჩევნები პიტერისა და მოსკოვის ქალაქის თვითმართვლობებში და არჩევნები საბჭოებში. შეადარეთ მოსკოვის არჩევნები მოსკოვის 12 აგვისტოს გაფიცვებს. აი ობიექტური საბუთები რევოლუციონური ელემენტების იმ უმრავლესობის შესახებ, რომლებიც წინ მიუძღვიან მასებს.

დემოკრატიული თათბირი ატყუებს გლეხებს, ის არ აძლევს მით არც ზავს არც მიწას.

ერთად ერთი ბოლშევიკური მთავრობა დააკმაყოფილებს გლეხებს.

174



ანდრაშკმარტი

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი დეპუტატთა პალატაში. მოსკოვის საბჭოს საპარტიო წევრი. ამ დღებში მოსკოვში ჩამოვიდა, ოის შემდეგაც ფიქრობს საბჭოთა გაფორმის სხვა პროლეტარული ცენტრების მოვლას.

* *

რატომ უნდა აიღონ ხელთ ძალაუფლება სწორედ ახლა ბოლშევიკებმა.

იმიტომ რომ პიტერის მომავალი მიცემა ასჯერ უფრო აუარესებს ჩვენს შანსებს.

პიტერის მიცემას კი, როდესაც არმიის კერენსკი და კომპანია უღვია სათავეში, ჩვენ ხელს ვერ შევეშლით.

არც დამფუძნებელი კრების „ლოდინი“ შეიძლება, ვინაიდან კერენსკის და კომპანიის იმავე პიტერის მიცემით ყოველთვის შეუძლიათ მისი ჩაშლა. მხოლოდ ჩვენს პარტიას ძალუძს, როდესაც ის ძალაუფლებას ხელში აიღებს, მოიწვიოს დამფუძნებელი კრება და ბრალი დასდოს, ამ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შემდეგ, სხვა პარტიებს დაგვიანებაში, და დამტკიცებს კიდევაც ამ ბრალდებას.

ინგლისის და გერმანიის ბურჟუაზიის შორის სეპარატიული ზავის ჩამოგდებას ხელის შეშლა აუცილებელიც არის და შესაძლებელიც მხოლოდ სწრაფი მოქმედებით.

ხალხი დაიქანცა მენშევიკების და ესერების მერყეობით. მხოლოდ ჩვენს გამარჯვებას სატახტო ქალაქებში შეუძლია გადამოიყვანოს ჩვენს მხარეზე გლეხები.

* *

საკითხი შეეხება არა იმ „დღეს“, არა იმ „მომენტს“, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, როდესაც აჯანყება უნდა მოხდეს. ამას გადასწყვეტს იმათი საერთო ხმა, რომლებიც მუშებთან, ჯარისკაცებთან, მასებთან მჭიდროდ დაახლოებული იქნებიან.

საქმე იმაშია, რომ ჩვენს პარტიას ამ ჟამად დემოკრატიულ თათბირზე აქვს ფაქტიურად თავისი უპრილობა და ამ უპრილობამ უნდა (სურს თუ არა მინც) გადასწყვეტოს რევოლუციის ბედი.

საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ამოცანა ნათელი გავხადოთ პარტიისათვის: დღის წესრიგში უნდა დანისვას შეიარაღებული აჯანყება პიტერში და მოსკოვში (ოლქოთ), ძალაუფლების დაპყრობა და მთავრობის

დამხობა. უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ გავსწიოთ ამის პროპაგანდა ისე, რომ ბეჭდვითი ორგანოში არ ვილაპარაკოთ ამის შესახებ

მოიგონეთ, მოიფიქრეთ მარქსის სიტყვები აჯანყების შესახებ: „აჯანყება არის ხერხი“ და სხვა.

* *

ბოლშევიკების „ფორმალური“ უმრავლესობის ლოდინი გულბრყვილობაა: არც ერთი რევოლუტია ამას არ ელის. კერესსკი და კომპანიაც არ ელიან, ისინი აზადდებენ პიტერის ვადკემას. სწორედ „დემოკრატიული თათბირის“ საცოდავმა მერყეობამ უნდა ააფეთქოს პიტერის და მოსკოვის მუშების მოთმინება და ააფეთქებს კიდეც. ისტორია არ გვაპატიებს, თუ ჩვენ ახლა არ ავიღოთ ძალაუფლება ხელში.

არ არის აპარატა? აპარატი არის: საბუკები და დემოკრატიული ორგანიზაციები. საერთაშორისო მდგომარეობა სწორედ ახლა, გერმანელებთან ინგლისელების სეპარატიული ზავის წინა დღით, ჩვენს მხარეზეა.

უნდა ავიღოთ ძალაუფლება ერთაშვად პიტერში და მოსკოვში (წინაშენლობა არა აქვს იმას, თუ რომელი დაიწყებს; შეიძლება მოსკოვსაც შეეძლოს დაწყება), ჩვენ გავიმარჯვებთ უებველად და ყოველ მიზეზ გარეშე.

ნ. ლენინი



ამს. კეხეხელი

კომუნისტური ყოველკვირეული ჟურნალის „უორკერს უიკლი“-ს რედაქტორი. მკვლავადლის მთავრობამ დააპატიმრა „უორკერს უიკლი“-ს ომის საწინააღმდეგო ნომრის გამოშვებისათვის, რომელშიც ჯარისკაცებს, მებრძოლებს და მუშინავეს მოუწოდებდა გაეფიცა მუშებისთვის არ ესარგებოდა.

კეხეხელი თავდებს ქვეშ გამოუშვებს, ხოლო პროკურორმა უფრო განაცხადა კეხეხელის დასუსტებაში მიღებულ საბუკების უკონფლიქტის გამო. ამის გამო, ლობურალებმა შეითხვა შეიტანეს თემბა კალატაში, რამაც გამოიწვია პარლამენტის გაშვება და ახალი არჩევნების დანიშვნა.

ოქსოგებარი და გვანი პოუნოშია

როგორი იყო ოქტომბრამდის ჩვენი ეკონომიკა, და რა მიღწევანი გვაქვს ჩვენ დღეს.

ავიღოთ ხელფასი:

თუ რა მდგომარეობაში იყო ამ მხრით მუშათა კლასი, აშკარად ჩანს ერთი დოკუმენტიდან, რომელიც ჩემს არქივში არის. ეს არის სიტყვა, წარმოთქმული მენ-შევიკური მთავრობის შრომის მინისტრის გ. ერადის მიერ 1919 წ. 1 ნოემბერს საქართვე. სახაზ. რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა დელეგატების მეორე ყრილობაზე.

ეს სიტყვა მოგვყავს ვრცლად და უკომენტარიოთ:

— „საქართველოს მუშათა კლასი განიცდის დღეს მეტად ძვირად და მწვევა ეკონომიურ კრიზისს... მისმა სიღარიბემ მიიღწია უკანასკნელ საფეხურს, რომლის იქითაც მოსალოდნელია სწრაფი და მძლავრი პროცესი ჩვენი კლასის ფიზიკური გადაგვარების და განადგურების. არც ერთი დემოკრატიული კლასი ან ჯგუფი ჩვენი საზოგადოებისა არაა ისეთ უმწეო მდგომარეობაში, როგორშიაც ქალკის მუშა მოსამსახურენი.

„მუშა ხალხის ეკონომიურმა დაქვეითებამ თავი იჩინა ჯერ კიდევ 1915 წლიდან. ამ წინადაც ეკონომიური


დაქვეითება თანდათანობით და პროგრესიულად იზრდებოდა. ეს მეტად თვალსაჩინო და საგრძნობი შეიქმნა მხოლოდ რევოლუტციის შემდეგ, 1918 წ., როდესად ომიანობის შეწყვეტას მოჰყვა მასიური ლევიდაცია აუარებელი საწარმოო და საეკონომიკური დარგების. მიმდინარე წლის პირველ ნახევრიდან მდგომარეობა იღებს უფრო საშვს და კატასტროფულად ხასიათს. უკანაღმსობა ქალკის მშრომელი მასისა ამ უკანასკნელი უქვეის თვის განმავლობაში განიცდის სისტემატიურ შიმშილს.

„ავგუტულობა, ძველი ტანისაცემი, საცელები, ლოგინი და სხვა საოჯახო ნივთები, რაც კი გააჩნდათ ძველი ნაამაგარი და ნაჭირნახულები, უკვე გაიტანეს ოჯახიდან და გაყიდეს.“

„ტანზედ და ფეხზედ ყველაფერი შვემოცდათ. ბეგის პერანგი არ აცვია ტანზედ... ტუქუიანი, დაღვიჯილ და დაფლეთილი ძველ ძონძებში გახვეულნი დადიან. ბევრი მუშის ოჯახიდან ბავშვები სკოლაში აღარ დადიან ფეხთსაცემლის და ტანთსაცემლის უქონლობის გამო.“



175



ახლად გახსნილი ქუთაისის სასოფიო ქარხანა.

„ყოველგვარი ავადმყოფობა და სნეულება მატულობს და ამ ნიადაგზე მუშათა ოჯახებში სიკვდილი თანდათან ვახშორდა.

ჩვენ გვაქვს ცნობები ტფილისის მართმადიდებელთა ეკლესიის უწყების, რასაკვირველია, ეს ცნობები არაა საესებით სწორი და სრული, მაგრამ იგი მაინც ნათელსკოვს თუ რამდენათ იმატა სიკვდილმა მცხოვრებლებში. ტფილისის თექვსმეტ მართლ-მადიდებელ ეკლესიაში 1914 წ. ითვლებოდა მრევლი 19375, აქედან ამ წელიწადს გარდაიცვალა 790 სული, რაიც შეადგენს მრევლთა რიცხვის 4,11 %-ს. 1918 წ. კი მრევლთა რიცხვი იყო 19212, აქედან გარდაცვლილია 1159 სული, ესე იგი 6,03 %-ს. ჩვენ ვიცით, რომ საერთოდ ეს მრევლი შესდგება ღარიბ მცხოვრებთაგან. აქედან თქვენ დაინახავთ, რომ უდიდესი პროცენტი სიკვდილისა მოდის ღარიბ მცხოვრებლებზე.

ამის მიზეზი კია შიმშილი და გაჭირვება, რომელიც მეტად გაიზარდა ამ უკანასკნელ ხანებში.

1914 წ. ჩვენებური მუშა, უმთავრესად საწარმოო დარგში მომუშავე თავის შინა ცხოვრებით, სმა-ქამით, ჩაცმა-დახურვით და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებით დიდათ არ იყო დაკვეთებული დასავლეთ ევროპის მუშაზე. დღეს კი ის მატერიალურ დაძაბუნებაზე იქამდე მივიყვანა, რომ აღარავითარი მსგავსება აღარ არსებობს და არავითარი შედარება არ შეიძლება წარსულისა და აწმყოს შორის.

„აი რას ლაპარაკობს ჩვენი უწყების სტატისტიკური განყოფილება: 1914 წელს მუშის საშუალო დღიური სამუშაო ქირა ყოფილა 2 მან. 39 კ. თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრივ ვაცდენილ დღეებს და მეორეს მხრივ ზედმეტ მუშაობას კვირა-უქმობით და საღამოობით, წლიური შემოსავალი დაახლოვებით უდრის 750 მან.

1919 წლის დღიური—52 მანეთი და 16 კ. ხოლო წლიური კი 15,648 მან.

ნამდვილად კი ესაჭიროება მუშას, რომ იცხოვროს ისე როგორც ცხოვრობდა ის 1914 წ.—61.560 მან. წელიწადში, ამგვარად აკლია მას წელიწადში 45,912 მან.

„მაგრამ კიდევ რომ მოუმატოთ ყველა მუშებს ჯამგირები და გაუხადოთ თეთიფულ მათგანს 61 ათასი მანეთი წელიწადში, ეს საქმეს მაინც ვერ შევლის, რადგან ამ მომატებას მოყვება ახალი გაძვირება საქონლისა.

1914 წ-დან 1919 წლის სექტემბრამდის ცხოვრება გაძვირდა 75,4-ჯერ, ხოლო სამუშაო ხელფასი კი გაიზარდა 21,6-ჯერ. აქედან ჩანს, რომ ამ ხნის განმავლობაში ცხოვრება გაუარესებულა 3 1/2-ჯერ“.

გაუმჯობესდა თუ არა შემდეგში მუშის ხელფასის საკითხი.

ამაზედ მშენებერ პასუხს იძლევა იმევი სამინისტროს სტატისტიკური განყოფილება, რომელსაც მოყავს ფასების ზრდა 18 საგანზე და ხელფასის გადიდება სტარტო პალატის მიერ. უნდა დაინიშნოს, რომ ფასების ინდექსის გამომანგარიშების დროს განგებ არ ლებულობენ მხედველობაში ტანთსაცმელს და შაქარს, რომლებზედაც მაშინ მაღალი მაღალი ფასები იყო.

ამიტომ ქვემოლ მოყვანილი ცნობები სიძვირის ზრდის შესახებ კიდევ უფრო მაღალი უნდა იყოს.

ფასები სანოვანებზე გაიზარდა 1919 წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით	მოუმატა სტარტო პალატამ შრომის ხელფასს პროცენტებით
-------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------

თ ვ ე ბ ი .			
1919 წ. აგვისტო	100	48%	
„ ნოემბერი	159,6	40	„
1920 წ. იანვარი,	251,5	64	„
მაისი	229,3		
აგვისტო	955,6		
ოქტომბერი	1373,3	88	„
დეკემბერი	2715,2		
1921 წ. იანვარი	3414,0	100	„
თებერვალი	4050,8		



რა მდგომარეობაშია დღეს საკითხი.

1923 წლის მუშის ბიუჯეტის გამოაკლევია გვაჩე-ნებს შემდეგ:

ღ ა რ გ ე ბ ი	საერთო მოსავლო საქ. მან.	საერთო საკალო საქ. მანეთით.	ნაშთი იფუშე	ნაშთის % ¹⁰⁰ -მ
მელითონები	37,88	34,93	2,95	8,4
მეთამბაქოები	32,90	27,79	4,5	16,2
მბეჭდავები	33,03	30,89	2,14	6,9
მთა-მადანზე მომუშავე	41,90	40,35	1,55	3,9
საპნის მხარშენი	52,3	37,90	14,22	37,5

საბჭოთა მოსამსახურენი.

საბჭოთა მომუშავენი	39,96	36,97	2,99	8,2
საექ. სასან. შრომა	32,28	30,91	1,38	4,5
განათლება	39,90	37,54	2,36	6,0

საერთო შემოსავალი წმინდა ხელუფას უქირავს 75—87¹/₁₀, ამ ცნობებს არ ესაჭიროება კომენტარიები. გადავიდეთ ახლა ვაჭრობა მრეწველობაზე.

1920 წლის მიწურულში ნ. ყარდანიამ ეკონომიურ თათბირზე განაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკა კი არ მიდის კაპიტალიზმსაკენ, უკვე მივიდა კაპიტალიზმზე და კაპიტალიზმი გზა არსად ჩანს. როგორია დღეს მდგომარეობა? ავიღოთ საქართველოს სავაჭრო ვაჭრობა:

წ ლ ე ბ ი	1913 წლის ფასებით		ბალანსი	რეალური ფასებით		ბალანსი
	გატანა	შემოტანა		გატანა	შემოტანა	
1920—21	181,2	10,2	—171,0	224,7	18,1	—206,6
1921—22	270,8	62,9	—206,9	335,9	113,3	—221,9
1922—23	147,9	133,2	— 14,7	188,5	210,7	22,2
1923—24	83,5	179,2	— 95,7	—	—	—
(6 თვე)						

აწნაირად ჩვენ უკვე მივალწვიეთ აქტიურ ბალანსს საგარეო ვაჭრობაში, რაიც ოცნება იყო 1918—1920 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკურ მთავრობას დიდი კონტაქტი ჰქონდა დასავლეთ ევროპასთან.

ჩვენი ნაციონალიზაცია-ქმნილი მრეწველობის საერთო ღირებულება 1923 წ. უღრბია 7,00,1054 ჩერვ. მან. საერთო სახალხო მეურნეობის პროდუქციის ღირებულება კი უღრბია:

1922 წ. 3,305.838 ოქრ. მან.
1923 წ. 9,334,740 " "

აწნაირად სულ ერთ წელიწადში მეურნეობის პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 182,6%.

სოფლის მეურნეობაში ჩვენ გვაქვს შემდეგი მიღწევანი:

დათესილი მიწების რაოდენობა იყო:

1908—1913წ.	600,000	დესტრ.
1921 წ.	469,199	"
1922 წ.	509,059	"
1923 წ.	648,000	"

პარკი მოუწვიათ:

1920 წ.	15,000	ფუთი
1923 წ.	64,000	"

დღი ნაბიჯი იქნა გადადებული მელიორაცია-ირიგაციის მხრითაც.

ელექტროფიკაციის საკითხი ხომ სენად გადაიქცა

ჩვენში. დღეს ჰიდრო-ელექტრონულ სადგურებს სად გინდათ, რომ არ აშენებდნენ.

მიწის რეფორმა, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო მენშევიკური მთავრობის დროს, 1921 წ. შემდეგ მიმდინარეობს რევოლუციონური წესით. მშრომელმა გლეხობამ უკვე მიიღო ამ მხრით დაკმაყოფილება.

1923 წლამდე კონფისკაცია შეეხო მემამულეთა შემდეგ მიწებს:

აღმოსავლეთ საქართველოში 636 სოფელში 9,285 კომლს, 33,438 დესტინანს. დასავლეთ საქართველოში 483 სოფელში 11,570 კომლს, 32,409 დესტინანს მიწას.

სულ 1,119 სოფ. 20,855 კომლ. 65,847 დეს. მიწას. დღეს ჩვენი მუშები არ არიან შიშველ-ტიტველნი და გადაშენების გზაზე მდგომნი, რასაც ადგილი ჰქონდა 1918—1920 წლებში.

დღეს ჩვენი მეურნეობა არაა იმ კატასტროფულ მდგომარეობაში, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

რა არის ამის მიზეზი? მიზეზია—ძირითადი გარდაქმნა სახელმწიფო წესწყობილებისა.

ხელისუფლება აიღო მუშამ და გლეხმა და მათმა შეერთებულმა ინტერგამ, შრომამ წინ წასწია ჩვენი ეკონომიკა.

ასეთია ის ეკონომიური პირობები, რომლითაც ჩვენ ვხვდებით ოქტომბრის რევოლუციის 7 წლის თავს.

ა. რუხაძე.



ქ ე რ კ ი

თეთრი გეგანი.

176

(თარგ. ვალერიან გაფრინდაშვილის)

(თარგ. ვალერიან გაფრინდაშვილის)

I.

კორსიკანელი! საფრანგეთი დაუღვრაველი,—
როს მესსიდორის ამხნევებდა მისს საყვირი—
იყო მრისხანე მშენენიერი ჯანყის მღომელი,
ისე ვით რაში, რომ არ იცის დეზი, აღვირი!

ვაუხენდელი ბუცეცხალი, რომლის ფერდები
მეფეთა სისხლით იკვამლებინან;
ამაყი მითი, რომ პირველად მავარი ტერფით
ის ეგვირება თავისუფალ მიწას—გნებინან!

არ შეხებია მის უღრეკელ და ფართე ვავას
არც ერთი ხელი მელნიდური, თუ შემპარაკი
მონობის ნიშნის ამოსაწვავად,
და უნავიერი არ შეუღდაშს მასზედ არავის!

ფაფარ აყრილი, გე თვალების აელვარებით
მიპქირის ნაღიმზე გაბრაზებულ ფრთიან ჭენებით,
ძლიერ ტახებით, ამბოხებით და მღელვარებით
ის ემუქრება მთელ ქვეყანას ვადაშენებით!

შენ გამოცხადდი! ის მიპქირად მეტ ვახვლებით,
დაუღლაავი და მგზნებარი თავის გეგებით:
კენტავრისავით შენ ჩაპკიდე ფაფარის ხელები—
და რაში მოახტი—ფეხზე დეხებით.

რადგან უყვარდა მას გრიგალის და გრგვინვის ნანა,
ტყულების ცეცხლი, ბარაზანის მწვავი ხმაური,
ქენებისათვის მას მიეცი მთელი ქვეყანა,
თავშესაქცევად—თვით ომების აურ-ზაური!

ის ველარ ჰპოვებს დასვენებას—ძიღმორეული
ბრძოლის მიწდგრები და სასტიკი ყოველთვის შრომა.
უნდა ეკება სამუდამოდ კაცის სხეული.
მის ირგვლე მუდამ სისხლიანი შორევის კრთობა.

იგი თუთხმეტ წელს ნავარდობდა, ვით ქარი მწველი,
მან დაამარცხა თაობათა მთელი კრებული,
იგი შენს აღვირს ემორჩილა თუთხმეტი წელი,
და ტომებს გულზე ის დადავდა ვაშმაგებულთ.

ამდენ ქენებით მოიქცაჲ მერანი ხარბი,
მუდამ სისხლი და მუდამ ომები!
არ შესწევს ძალა დაამსხვროის მსოფლიო კარბი,
განაიავოს მიწის ტომები!

იგი უმღური, დახუთული, თითქოს აღერსით
სთხოვს კორსიკანელს შეეცდრებას და შეცოდებას,
მაგრამ მხედარი სასტიკია—შეუბრალოს,
იგი არ უსმენს—ყრუ ჯალათი კენესას, გოდებას!

სწრაფად დასკიპე შენ მუხლები. სულ ერთი წამი!
მისი სპორტინი დაადუმე მკაცრ ფაფრთხილებით.
დაატრიალე შენ ქათიან პირში ლაგამი,
გადაუმტვრიე მას უხეში რკინით კბილები,
კიდევ გაქანდა! კიდევ ჩეხის დადავდა ავდარი!
აღვირისაგან მის ტურნებზე სისხლის ზოლია.
ის ყუმბარების სარეცხვლ დაეცა მკვდარი,
და დაცემის დროს შენ ერთბაშად მოვიყოლია!

ავუსტე ბარბი.

ქუა იყო როგორც ქარიშხალი. მიდიოდენ ბრბოები,
თითქოს მათ დაედენვა ბედი უწინარი.
მიპქირდენ ავტომობილების, ომნიბუსების ურდოები
იყო დაუწურავი ხალხის გაბრაზებული მდინარე.
ტრალათი ელვარებდენ აბრების თვალები ცბიერი
ოცდაათ სართულების სიმალიდან, ვით ჩვენება უცნაური.
და გაისმოდა, როგორც სიმღერა ნებიერი
მევაზეთების, ბორბლების, შოლტების ხმაური.
უღმობელ სინათლეს აფრქვევდენ მთავარები მიჯაჭვულები.
რომელთა შემოქმედია აველა არსთა მელობები.
ამ სინათლემ, გუგუნში ახალგაზრდა იყენენ სულეტი
მთვარანი ქალაქით და ყოველთვის დაუთარობელი.

II.

მოულოდნელად ეს გრიგალი, ჩურჩული დაფარული,
რომელშიდაც განხორციელდა სხვანაირი ბოდება,
გაიპო უჩვეული, უცნობი თქარუნით,
დაიჩრდილა კარეტების გრიალი, ლაპარაკი, გოდება.
ცეცხლსახიანი გამოჩნდა მოსახვევიდან მხედარი.
მიპქირდა ცხენი ვაშმაგებით და დადავდა თვალემში ალით.
ჰაერში კიდევ იყო ყვირილი გაუხედდარი,
მაგრამ წუთს დაეუფლა—შიში იღუმალი.
მხედარს ექირა ხელში სიგელის ხეული.
ცეცხლის ასოებმა გამოაცხადეს სიტყვა: სიკვდილი.
მაგრამ სიმაღლე დაისცრა შორეული;
ცა ქუჩის ზევით ამეტყველდა ალფური ჩრდილით.

III.

ყველამ დაპქარვა გააფთრებულ შიშისგან ქუა.
სახეს იფარაბედენ, იძახოდენ: მოგვევლინა ღმერთი!
ქვაფენილებზე ირიოდენ, ვით ხრავა ერთი.
ნადირნი დინგებს მალაყდენ თვის ფეხებს შუა.
და მხოლოდ ქალი, მოსული სილამაზის განაღდებისთვის
ალტაცებული ვასაკარ მერანს ეტაკა.
იგი ჰკონიდა ცხენის ტერფებს არა ვნებისთვის.
აპყრობილი ხელები გაუშვირა განთიადს სპეტაკად.
და კიდევ გეი, საავამყოფოდან გამოქცეული,
გამოვარდა დათხრშილი, ყვიროდა ვაშმაგებით:
„წუ თუ ვერ იცანით ღმერთის მარჯვენა გრძნეული,
დაილუბებით ქირისაგან, ხმლისაგან—ღმერთის განგებით.“

IV.

ალტაცება და შიში მეფობდენ სულ ერთი წამი.
და წამის შემდეგ არ მოსჩანდა ხალხში არავინ.
მოზავად ახლობელ ქუჩებიდან მოქაობა თამაში,
ჩვეულებრივი სინათლე იყო ქუჩების დამფარავი.
და ვინ იტყოდა ამ გრიგალში ჩვენება ნახული
იყო ზეციდან, თუ ამით იყო ზმანება?
მხოლოდ მემძვე და შეშლილი უსახური
აშვრტები ხელებს ოცნებისკენ მწველ დანანებით.
მაგრამ ისინი გაღირცხენ ახალ ბრბოებით,
როგორც დავეწყულ სტრატეგიიდან სიტყვები უწინარი.
მიპქირდენ კებების, ავტომობილების ურდოები
იყო დაუწურავი ხალხის გაბრაზებული მდინარე.

ვალერი ბრიუსოვი.



მეგანს მათი ქალი უაზის ფარი კორსტალით

მოთხრობა.

I

— 13—3.

ვინ ლაპარაკობს!
აალოო!—ხმამილა.
მესმის.

რომელ ქუჩაზე?

კარგი.

კარგები ვაილო:

მორიდებით შემოვიდა მექარე, რომელსაც ჯავარი-
ვით მისოკო შავ უღვაშებში ჩამალული კაკალუს ცხვირი
და ნიკაპზე დატოვებული მოგარბო წვერი, სიკაყის იერის
აძლევდა.

— ამხანაგი არის. თქვენი ნახვა სურს.—ომახიანი
ხმით მოახსენა მექარემ და ლენინის სურათის წინ ჯარი-
კაცივით გასწორდა.

— საზოგადო. დაიცადეთ. შემოუშვით.

უფულოთ, ნაწყვეტ-ნაწყვეტათ წამოიძახა ქალადგებ-
ში ჩარეულმა თავმა და ვაბრუნებულ მექარეს ლენინის
სურათმა ნახევრათ დახურული თვალები, სასვე თილისმით
(ლენინი ასე უტყუროდა ყველას ტრიბუნიდან) ჩვეულებ-
რივთ გააყალბა. მექარეც ყოველთვის სცილილობდა თავ-
ვის ჩაქირულ სხეულს სიარულის დროს მეტო ლახათი
მისკემოდა.

— ხელე ხომ არ შევიშალიეთ?

ვაისმა ლითონის წყრიალი და კაბინეტში შემოვიდა
ქალი ყავის ფერი პორტყელით.

— არა.

— ბევრს მუშაობთ ამხანაგი ყარამან! მალე საათის
4 იქნება. ჯერ არ წამოხვალთ?

პირველთა ელაპარაკებოდა ყარამანს ასე მჭრუნვე-
ლობით სიწითელ მორეული ქალი ყავის ფერი პორ-
ტყელით.

— დამავიანდება, ნუ დამიცდით.

კვლავ თავაულებლივ უპასუხებდა ყარამანი და შრი-
ალებდენ ქალადგები გამხმარ ვარდის ფურცლებივით მა-
გიდაზე დაყრილა.

— მშ. არც თეატრში წამოხვალთ? დღეს „მადამ
ბატერფლი“ მიდის.

ყარამანი გველ ნაკებნივით შემერთალი სავარძელში
გასწორდა და ქალს მხოლოდ ლენინის სურათმა უპასუხა.
სიჩუმე...

— მე... წავალ...

გალახული ბავშვივით გაეშურა კარგებისკენ ქალი ყა-
ვის ფერი პორტყელით და კაბინეტში დარჩა ვაბზარული
ლითონის წყრიალი.

II

კარგ ხანი იქნებოდა, რაც ელექტრონის ქარვისფე-
რი შუქი ყარამანს თავზე ეფრქვეოდა, მაგრამ ყარამანი
ისევ ისე ქალადგებში ჩაფლული და ბეჭებში უფრო მო-
ხრილი დროთა სვლას ვერ ამჩნევდა, და შრიალედენ
ქალადგები გამხმარ ვარდის ფურცლებივით მივიდაზე
დაყრილა.

შუვე საათის 9 სრულდებოდა, ყარამანმა ახლად შე-
მოტანილ ქალადგს წითელი მელნით რალაც წააწერა და

აღდა. თვალებში ციციანათელები აუთამაშდენ (ასე ემარ-
თება ყველას, ვინც ქალადგეს დიდხანს უტყუროს) და
დაბარბაცებულნი მაგიდას დაეყრდნო. ცოტა ხნის შემდეგ
დაიწყო ზოგი ქალადგის უფუნბოთ პორტყელში ჩალა-
გება, რის დროსაც მაგიდიდან ვადმოვარდნილობა სამელ-
ნის სარტყელმა ვაბზარულ ლითონივით გაიწყრიალა ია-
ტაქზე და კაბინეტის ოთხივე კუთხიდან მკაფიოთ გაისმა:
— „მადამ ბატერფლი“.

ყარამანს ტანზე ქიანჭველებმა დაუბრინა და მარც-
ხენა ხელთ კარები მოწყვეტილი გამოალო.

ყარამანი თავის კაბინეტის პირდაპირ, ქუჩაში შე-
ჩერდა (მას არ შეუშინებია, თუ როგორ ბრტყევილებდენ
ელექტრონის ფერადი შუშები შენობის ფასადზე, რომელ-
ზედაც გრილიანდები ქალის ნაწნავებივით ეკოდა)—შემო-
დგომის წვიმის წვეთები ვახურებულ სახეზე დედის ცრემ-
ლებივით ეამა და ქული მოხიდა.

თმის ღერებზე კამართი სახეზე დაგორებულმა
წვიმის წვეთებმა მას მავგონეს, როცა ანთებით ვათან-
გულს დედის კალთაში ჰჭონდა თავი და იმედგადაწყვე-
ტილი მშობლის ცრემლები ხოშაკალებივით ეცემოდენ
ვაფიცებულ სახეზე.

— იქნებ ცოცხალია!

გაუფელა ყარამანს და გულდამწვარიმ აეტომობილს,
რომელსაც შოჭერის ორბით ეძინა, გვერდი აუხვია.

ყარამანი რამდენიმე თვეა, რაც საქართველოში და-
ბრუნდა და ამ ხნის განმავლობაში პირველთ არის ასეთ
ხასიათზე, თუშუა ის ყოველთვის წარბებ შეკრული და
ლიმილ შევივრეა.

ნელა მიმავალ ყარამანს ორმა ქალმა ერთი ქოლ-
გით ახლო აუარეს და შეჩერდნ. რალაც ჩალაპარაკეს.
ყარამანს არ ვაუგონია (საერთოდ ქალები მამაკაცებზე
ჩუმთ ლაპარაკობენ), მაგრამ ყარამანს შეეძლო მიმედა-
რიყო, რას ლაპარაკობდა ორი ქალი ერთი ქოლგით, რომ
მათთვის მიმინასავიეთ შეეხედა, ან ოდნავ თავი დაეხარა
და ქოლგის ქვეშ დაენახა თვალები, თუ როგორ ჰქურდუ-
ლთ უტყუროდენ მას.

ყარამანმა წარმოიღვინა ამ წვიმაში თავის სოფელი
და იფიქრა:

— არ კარგი იქნებოდა, რომ დედა მისი, მის სანა-
ხავად ციმბირში ვადგეფეოდა — ენახა, ან სულ არ წასუ-
ლიყო და აქ დახევედროდა.

წარსულის მოგონებით თვალებ აკერილობა ეხლა გულ-
უბრყვლოთ ბავშობა ინატრა, როცა მას ვაბედულობის-
თვის მეტ სახელთ ყარამანი შეარქვეს და ხუმარა მეზობ-
ლისგან ვამოთქმული ლექსი ვაისხენა:

„იმდენს დარბის ყარამანი

ვილარ უძღვებს ქალამანი“.

თითქმის ნახევარი პრისპეტეტი ვაიარა, გვერდზე არ
ვაუხედვას. ექქარება სახლში მისულა, როგორც ვადამყოფ
ბავშვის მამას, რომელსაც ბავშვისათვის წამალი და სათა-
მასობივი მიიქვს, მაგრამ ფეხებს, რომლებსაც ყარამანი
უარავთ ხიფათისგან ვადაუფრინია, ეხლა ქარებიან მოხუ-
ცივთ მიათრეგეს.



— პაპიროსი, პაპიროსი, სოლიდნი. სოვეცი.

— ირის ნატკოვიზა, სლადკი ირის.

ერობაშთი მიიახხეს ყარამანს ბავშვებმა, რომლებიც ლალიძის და კიკე კაჭეს გვერდით მეორე სართლის აივანის ქვეშ წიწწლებითი შექუჩებში მოუყვანენ. თვალში სინათლე მომაჭრებელი ყარამანი მოუფიქრებლად შეჩერდა და ბავშვების წვირიანი ხელები პაპიროსებით, მოაჯირათ გავს შემოვრტყა.

— დიოქოსი. ყაჩაღები ხომ არა ხართ! ნახევრათ დიმილ-მორავულმა მიმართა ბავშვებს.

— ჩემი უფრო კარგია, მაგისი არ ვერაგ, ახალია.

— არა, ამხანაგო, გატყულებს. ორი წლის გაკეთებულია ლმერთმანი.

— შე უნდა გამისალოს, პირველათ მე დაუფიქრე.

ციკლოლოდენ ერთმანეთს ბავშვები და ყარამანს პაპიროსებს ხელში აჩრდიენ.

— არა, ამხანაგებო, მე პაპიროსი არ მინდა, და ყარამანმა უკვე ხმაოალი სიცილით ბავშვებს ფული დაუფიქრა.

— ირისი, არ გინდათ ამხანაგო, კარგი ირისია. საკუთარი ხმის მსგავსათ მოვისმინა ყარამანს და გოცემულმა ძლივს შეამჩნია პატარა გოგონა ბავშვებში, რომლებსაც პაპიროსებით სასვე ყუთები გულზე ეკიდათ და ყარამანს ეგლა უსიტყვეო შესცქეროდნენ.

ყარამანს ფერმა გადაკრა.

— ვისი ხარ პატარა?

გოგონამ ვერ გაიგო რას ეკითხებოდა ყარამანი და რისთვის.

— დედა გაავს?

— არა.

— მამა? ჩააცივდა ყარამანი.

— არა, არ ვიცი. თავის ჩაქიდვით უპასუხა შემკრთალმა გოგონამ.

ყარამანს სუნთქვა გაუძნელდა. გოგონას პატარა ქუქუციან მუქში ფული ჩაუღლი და ბავშვებს ვაშორდა.

— ამხანაგო! ამხანაგო! ირისი? ირისის წალემა დაგვიწყნადო.

ტიტიინთი წამოეწია პატარა გოგონა.

— არა, არ მინდა ჩემო პატარა.

დამდნარი ხმით უპასუხა ყარამანმა და აცახცახებულნი ხელით ქუდი დაიხურა.

გაკვირვებულნი გოგონა სირბილით დაბრუნდა უფრო გაკვირვებულ მეპაპიროსე ბავშვებთან, რომლებსაც ფულები ჯერ კიდევ ხელში ჰქონდათ.

— ახალი გაკვირებული თუა, ან მივარალი.

— ნეტავი მაგისთანა გოგონები იყვნენ ყველანი, ჩვენ რა გვენალელებმა. სიცილით ჩაილაპარაკა მეორემ და კაჭედან ახლად გამოსულებს, რომლებიც აქამდე წვიმის გადალევას ელოდები, უფრო ჩასძახა:

— პაპიროსი, სპიჩკა.

— არა, არც გეთია და არც მთვარალი. ნაწყენი ხმით წაიტიტინა გოგონამ და თვითონაც მორიგო ყვიროლი:

— ირის, სლადკი ირის, პარა პიატკ კაიევი, ირისის. ყარამანი ოპერის თეატრს გაუსწორდა და თვალის მოჭკრა დალაკატს წარწერით:

„დედს მადამ ბატერქლიე.“

ყარამანი შეჩერდა, დააპირა ვადახვევა, მაგრამ უნებურათ პირდაპირ გაეპარათ.

— ჩიო-ჩიო სან! გულის ჩაყარდნით ჩაილაპარაკა ყარამანმა და ცივი ოფლი დაასახა.

— ჩიო ჩიო სან! ასე ეძახდა ყარამანი შერქმევით ამ 8-9 წლის წინეთ ერთ ქალს, რომელიც მოულოდნელათ მოაგონა დღეს ჯალმა ყვისი ფერი პორტყელით.

— დაიდა! დაი მწე დენგი, დაიდა! ძუნჭულით აედუნდა იოლიჩიკი, რომელმაც ეს-ეს არის მეპაპიროსე ბავშვებისადნა ვაიგო ყარამანის „სიკიე“ და ძლივს დეწწია.

— დაიდა, დაი მწე დენგი! არ ეშვევოდა იოლიჩიკი და ქალის წელში გამოყვანილი გრძელი კოფთა, რომელიც იოლიჩიკს პალტოს მაგვირობას უწევდა, ყარამანს ფეხებში ეფართხნებოდა. მაგრამ გოგონებულნი ყარამანი იოლიჩის ყურადღებებს არ აქცევდა და იოლიჩიკიც თითქმის შურეაკყოფილი (იოლიჩიკს არ უყვარდა რაცა აწიბილედენ) ძუნჭულითვე უკან დაბრუნდა. გზაში ვადასწყვიტა, სამაგიერო ვადაეხადა მეპაპიროსე ბავშვები!ათვის, რომლებმაც ტყუილით გააკიდეს ვილაქას, და ისიც გულქვა ადამიანი.

ყარამანი უკვე თავის ოთახის შესუბანდლში იყო, როდესაც ოპერის თეატრის დასახს დასამათ დავმო. მკერდავი თვალი შეამჩნევდა, თუ როგორ მოუსვენრათ იჯდა ლოქაში, ქალი ყვისი ფერი პორტყელით.

ყარამანმა სოველი ქუდი შეშუბანდლში დამბრვალ ჩიტივით ჩამოაჭვიდა და ოთახის კარები შეღო. ვადასშლილ წიგნებითა და ვაგეთებით სასვე მაგიდაზე პორტყელი დაავლო და სავარძელში მოსხლეტით ჩაიქცა.

ყარამანმა ინანა, რომ პატარა გოგონა, რომელსაც თვალები სულ ჩიო ჩიოსი ჰქონდა, სახსოვ არ წამოიყვანა და დაწვრილებით არ გამოქოთხა ყველაფერი. ვინ იცის, იქნებ ჩიო-ჩიომ უქანონო შვილი ქუჩისათვის გაიმეტა.

არა, ამას ჩიო-ჩიო არ იზამდა— გამოედგა თავის თავს ყარამანი.

სხვა გზა არაა თვითონ უნდა ენახო, ვადასწყვიტა ყარამანმა.— მაგრამ როგორ მოვახერხო? მედს შერიგებული უთუთთ მისაკედღერებს, რომ 8-9 წლის წინეთ ისეთ მდგომარეობაში ჩავადე და ეხლაც არ ვასწებენ! იქნებ კვლავ იტანჯებო? ვინ იცის. ნეტავი ბავში მაინც იქნებოდეს ცოცხალი.— უმიფლოთ ინატრა ყარამანმა და ცოტახნით თვალები მილულა, შემდეგ ელექტრონის მიაშტერა და უკებ ელექტრონის მავთულით, რომელსაც სიცივისადნა დამბრალი ჯერ კიდევ შემოხვეოდნენ, ვადაიქცა სოლოის პატარა შარათ ეკლიანი წყნელებით შემოიღობილი ეხთით, სადაც ისლით დახტურულ ფიცრულში ყარამანის მემის ცხედავი ასვენია და ტირილით დალოლი ქირის უფლები კეროას ყვავებებით გარშემო უსხედან. აყერ, თამაშობიდან დაბრუნებულნი ყარამანი, გამოწყობილი მამის ცხედარი რამ დაინახა, დედის მივარდა:

— დედა, ბაბათი მიძიასთან მიდის? რომ გაილიქმებს მეც წამიყვანოს, კარგი?

თვჩაღუნული დედა ყარამანს გულში უპასუხობთ იქრავს და ცრემლებით იხრჩობა. შეშინებული ყარამანიც ზღუქუნებს.

ყარამანს უფრო ცოცხლად წარმოუდგა: ობლობა. დიდის ვაქცატური ვარჯა. ქუთისი. გინმაზი. იოსებ ოცენლის დარიგება, რომელსაც ყარამანმა მეშვიდე კლასობენ ულალატა, ტვილიოსი, ჩიო-ჩიო, არალეგალური სტამ-



შალვა ქიქოძე

ახალ ქართულ მხატვრობაში ლ. გულდაშვილი, დ. კაკაბაძე და შალვა ქიქოძე, უსათუოდ ჩაითვლებიან ყველაზე ძლიერებათ. პირველი ორი მუშაობს პარიზში და როგორც სარწმუნოთ ვიცით მალე დაბრუნდებიან სამშობლოში.

შალვა ქიქოძე გარდაცვალა ორი წლის წინათ გერმანიაში, ტუბერკულოზით. მისი სიკვდილი მოულოდნელი იყო, და სამწუხაროდ, დღემდე არ გეჭონია ცნობები როგორც მისი შემოქმედების ისე მისი სიკვდილის შესახებ. ჩვენ ეურნალის ამ ნომერში მოთავსებული სურათები გარდაცვალბულ მხატვრისა, რამოდენიმეთ შეაყვებენ ამ ნაკლს. ვინც იცნობდა შ. ქიქოძის შემოქმედებას

ევროპაში გამგზავრებამდის, ის დარწმუნდება თუ როგორ გაზრდილა მხატვარი რამოდენიმე წელიწადში.

აქ წარმოდგენილი სურათები გამოფენილ იყვენ ევროპის ქალაქებში და დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მხატვართა წრეებში. ეს სურათები ინახებიან პარიზში, ქიქოძის ერთ მეგობართან, და მიღებული ზომები მათ საქართველოში გადმოსაცხვენათ. „დროშის“ შემდეგ ნომერში ჩვენ შევეხებით დაწერილებით შ. ქიქოძის მხატვრობას და მოვითავსებთ ვრცელ ცნობებს მისი ცხოვრებისა და სიკვდილის შესახებ. რედაქცია დიდ მადლობას უცხადებს გარდაცვალბულის დას მსახიობ ქალს ანეტა ქიქოძის, რომელმაც განმოგვცა სურათების რეპროდუქციები ჩვენს ეურნალში შ. სათაგესებლად.



მხატვარი დაეთ კაკაბაძე და შალვა ქიქოძე

ბის მოწოვა. ციხე. ციმიბირი და ელექტრონის მავთული ეხლა შეიცვალა მოსკოვის ამბოხებულ ქუჩებათ, სადაც სისხლის ნიაღვარები მალა ატივტივებენ პაპიროსების ცარიელ კოლოფებს და ტყვიებით დაცხრილულ კედლებიდან ჩამოვლევილ კერენსკის მოწოდებებს. აგერ, ჯავშნინანი ავტომობილმა, რომელიც ოთხივე მხარიდან ნალვერდალებს ისვრის, გასრისა პატარა ფინია. საკოდავი, რამდენს იჩხავლებდა კიდევ ახალდაბადებულ ბავშვივით, რომ მეორე ავტომობილს, რომელშიდაც ყარამანი იჯდა, თავიც არ გაეჭულიტა... შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა კრებები ყარამანის თავმჯდომარეობით და ლენინთან ერთად მიტინგიდან-მიტინგზე. შემდეგ, შემდეგ საქართველო...

— ჩაის არ ინებებთ შვილო! სამოვარი ცხელია. ნახევრათ ღია კარიდან დიასახლისის მორიდებულმა ხმამ ყარამანი ბურუსიდან გამოიყვანა.

— არა. გამაღობთ. კერათ უხასუხა ყარამანმა და გაოცებულმა დიასახლისმა ყარები ურთობილათ გაიხურა.

ყარამანი დაბეჭეული ადვა.

ოთახში რამდენჯერმე გავლა-გამოვლის დროს, მაგიდაზე გადაშლილ წიგნებს შორის, თვალში მოხვდა: „ვირების მესია“ და წიგნი ხელში აიღო.

— რაედენ გეტყაძე. ვირების მესია—ხმა მალა წაიკითხა მეორეთ და წიგნი ღიმილით გადაფურცლა.

ყარამანს განსაკუთრებით მოეწონა უქანსანელი ლექსი: „მე ვარ გლადიატორი“ მაგრამ „ვირების მესიის“ რევოლიუციონერობაში მაინც ეჭვი შეეპარა.

უფრო მეტი სიყვარულით რამდენჯერმე წაიკითხა: „ჩოჩორო“ და „ჩემი ბავშობა სოფელში“. წიგნის დახურვის შემდეგ, თითქოს გულზე ლოდი ააცალესო, წელში გაიმართა და ხმა დაბალი სტვენით ლოგინს მიაშურა, ტანისამოსის გაძრობის დროს კიდევ ერთელ გაიმეორა: „შემდეგ ცრემლებმა დამაღა“

„ჩემი ბავშობის ამბავი“

და ოთახი ერთბაშათ სიბნულემ მოიკცა.

თანამედროვე ქართული მხატვრობა.



შ. ქიქოძე. პორტრეტი ესპანელი ქალისა



შ. ქიქოძე. გურია.



შ. ქიქოძე. ხევსურეთი.

თანამედროვე ქართული მხატვრობა.



შ. ქიქოძე. იაპონელი მეგობარი მხატვარი.



შ. ქიქოძე. თანამედროვე უკრაინელი.



შ. ქიქოძე. მხატვარი, მისი ჯიბი და კინძოსთავი.

179



შ. ქიქოძე. ქართული სურფა.

III

ყარამანს მთელი ღამე მკვდარივით ეძინა. ფეხის ცერებზე შემოსულმა დიასახლისმა, რომელმაც გაზეთები შემოიტანა, მზრუნველობით გაუსწორა ბალიზიდან გადმოგდებული თავი და კალანდარს ფურცელი აახია.

კარგად მომზევებული იქნებოდა, ყარამანი ტელეფონის წკრიალმა გამოაღიძა და თვალზე გაუხილავათ ტელეფონის მიღ ყურთან მიიტანა.

გისმენთ!

(გაისმა ყარამანის გამოუფიზილებელი ხმა.)

აღლო!

სიიდან ლაპარაკობთ!

ვინ?

(ყარამანი წყალგადასმულივით შეინძრა.)

ჩიო-ჩიო?

საიდან მელაპარაკებთ?

როგორ ხართ?

ყარამანს სახეზე ღიმილმა გადაურბინა, (ასე შეუძლია გაიღიოს, მხოლოდ დიდიხნის ავადმყოფს, რომელსაც ეჭიშმა ნება მისცა ლოგინში ფეხები მოიროხას).

— რატომ ასე აკანკალებული ხმით მელაპარაკებთ!? (თუ მე მეჩვენება გაიფიქრა ყარამანმა).

სათოხვარი გაქვთ?..

თქვენი ქმარი შეიპყრეს?

წუხელის.

დასქრეს!

საავადმყოფოში განახვნა?!

ყარამანმა ტელეფონის მიღს ხელი ცივად შეუშვა. თავი სიზმარში ეგონა და ზურგიით კედელს მიეყრდნო, ლენინის სურათმა, რომელიც პირდაპირ მავიდასთან ეკიდა, თვალი თვალში გაუყარა.

ყარამანმა მომაკვდავივით თვალები ჰერს მოავლო (ელექტრონის მავთულს ეხლა მხოლოდ შავი წერტილები ეტყობოდა და უდაბნოთ ქვეულ ოთახის სირემეს ბუზების ფრთების შრიალი ცხრილავდა) ხოლო შემდეგ ძარღვებ დაჭრილი ისევ ლენინის სურათს უმწეოდ მიაცქერდა (სურათის ქვეშ კალენდარს სისხლი ეცხო) და ყარამანი უცებ ავტომობილის ძახილმა გამოარკვია.

ავტომობილის განმეორებულ ხმაზე ყარამანმა ფანჯარა გამოაღო და ავტომობილში დაინახა ქალი ყავის ფერი პორტუგელით.

ის ერთბაშად დაინხა, როცა ავტომობილზე თვალი მოჰკრა პატარა ალუბლისფერ დროშებს და ტყვიანაკრავივით ფანჯრიდან გამობრუნებული, მხოლოდ ეხლა მიხვდა, თუ რატომ იყო კალენდარი— შეღებილი სისხლით.

უკვე გონს მოსული ჩქარობდა შემოესვს, მაგრამ ხელები ებორბიკებოდა (ასე ემართებოდა ტუსალს, რომელსაც

Lisis Poetik

მე ჩემი სახე დაეასვენე ვრცელს კაბინეტში,
 სადაც არჩილინი ირევიან შუბლშეგრულ მეოსნის;
 მინც მარტო ვარ და ვერ ვარჩევ ჩემს თავს თვით ღმერთში,
 მუდამ ვარსებობ და ჩემს სახელს რამდენი ჰეგენის!

მივივრს, ასეთი უდიდესი მე მარტო რად ვარ?
 თანამედროვის ოცნებაც კი ვერ მომწვდენია!
 იქნებ დაეცა სხვების მოდგმა და დიდი ეჩინავარ?
 ჩემი ტოპა იქნებ ჩემგნით აღსადგენია?

ლიკანტროპიულს მოჩვენებით არვიან გლოვობს
 და მე ვხარხარებ მხიარული, როგორც აგუნა.
 დაპატარავდნენ, გულმანებთან ვეხები არ ომოზს,
 თვით პოეტების ხსნაც კი ბედმა მე ერთს მარგუნა!

დაილია ჩემო! თმებს ვერ შემკვეცი ვერც მატყენ წყლულგებს!
 არც სვეტს შევიანგრევ, რომ მით შემდეგ დამარჩის სახელი!
 დიმახიუსი უკან დამდევს და ჩამწერჩულგებს:
 მათ არა აქვთ-რა, ისევ შენ ხარ დიდი კახელი!

სანდრო მანშიაშვილი.

პატიმრობიდან ამნისტიით ათავისუფლებენ). როცა დია-
 სახლისმა ჩიი შემოიტანა, ღია ფანჯრიდან ვალდალა-
 დებულ მზესთან ერთად ოთახში ინტერნაციონალის გუ-
 ვუნი შემოიჭრა. და ყარამანმა შეაშინია თუ როგორ შეი-
 ნძრა ლენინის სურათი ჩარჩოში.

— ოქტომბერი! ვულკანური ხნით წამოიძახა ყარა-
 მანმა და ოთახიდან შურდულვით გავარდა.

ქალმა ყვეისფერი პორტყელით ყარამანის გაბრწ-
 ყინებული სახე რომ დაინახა, პატარა ვარდისფერ ცხვი-
 ორიდან სათვალე რატომაც ჩამოიშალა და ავტომობილთან
 უქვე მისულს ხმა მაღლა მიესალმა.

ყარამანი ხარბდ უქვეროდა დროშებით მოჩითულ
 პროსპექტს, რომლის ორივე მხარეზე ტყეა არ იყო და
 ავტომობილი შუაზე გაპობილ ხალხის ზღვაში მწვევარ გა-
 მოკიდებულ კურდღლევივით ვარბოდა.

უცებ გაისმა გულისწამლები კვიცილი და სისხლით
 ბორბლებდ შეღებული ავტომობილი ძვარუნით შეჩერდა:
 ხალხი არხში პირველ გამოშვებულ წყალვით წამოვიდა და
 ავტომობილის შემოსასტა. რამდენიმე წამის შემდეგ ყარა-
 მანმა მილიციონერების დანმარებთ ბორბლებიდან ძლივს
 გამოათარია თავგაქულებილი ბავში, რომლის სისხლით ავ-
 ცენტული თვალები უკანასკნელად შეინძრენ ყარამანის
 მკლავზე. გავითარებულმა ყარამანმა, თითქოს საკუთარი
 შვილი მოეკლას, ბავშის უსსლო ტანი ძირს დაასვენა და
 გულწასული ქალი ყვეისფერი პორტყელით ავტომობი-
 ლიდან გადმოიყვანა.

მეორე დღეს ვაგთებში, რომლებშიაც მოთავებულ
 იყო ოქტომბრის დღესასწაულის ბრწყინვალეთ ჩატარების
 ანგარიშები და ხაზგასმული დეკრეტები ჩინებში რევი-
 ლიციონური აჯანყების შესახებ, ქრნიციის ბოლოში, შემ-
 თხვევებში, პეტიტით ეწერა:

— ბანდიტის მოკვლა. 6 ნოემბერს ღამით, სა-
 ვანგებო კომისიის თანამშრომლებმა თავის ბინაზე შეიპ-
 ყრეს ცნობილი ბანდიტი №, რომელიც წინააღმდეგობის
 გაწვევის დროს დაჭრილი იქნა და გარდაიცვალა საავად-
 ნყოფიანად გზაში.

იქვე: ავტომობილის ქვეშ გუშინ, დღის 11
 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე, ავტომობილმა, ვას-
 რისა ირისებით დაეჯიდა ბავში (ქალი) დაახლოებით 8-9
 წლის. ვინაობა გამოუჩვენებია. შოჭერი შეიპყრეს.

რაუდენ გვიტაძე.

გადავ დე— ლაგვალის თაზი

(4 სექტემბერი, 1792 წელი).

ეს ვნებიანი ჩემი სხეული

ხალხმა ვასრისა თავის ფეხებით.

და შეურაცხყო ბრბომ გამეხებით.

ვერ უქვეროდი ტანს საკუთარს შიშორეულთ.

მაგრამ მე სხეულს დამაშორეს და ჩემი ხორცი

დარჩა ქუჩაზე-შორის ვანატყორცი.

მე გამიტაცა სწრაფი ნატივით

ბრბომ პარიზისამ-მოსულმა ბრაზზე —

ვილაც დუქანში სკამდა ალკოგოლს პირგამურეილი,

და მე დამავლო სოველ დაზუჯზე.

კუთფიორმა მე მიწიდან შემდეგ ამილო,

თმა დამივარცხნა დალაღებათ იგი დამიყო.

ფერ-შუამართლი ჩემი სახე იმან შეღება,

შემდეგ ვივარქენი პუდრის შეხება.

მაშინ ნაცემი და მოკაზმული

მწველ იარების ნიშნებით საყვ,

შუბზე დასმული

მე ავიმართე ბრბოების თავზე

ზარბოშ მცენარეთ... სიგიფის აღში

ხალხი მღეროდა აღმუთავებული,

თითქოს ვიყავი ისევ ვერსალში.

და მიმადრუნდა ცეკვის კრებული.

თითქო ისმოდა გრეგალი ველთა...

ციხის კიბეთი მე—ულმომელი—

თვით ტამბლის კოშკში, დედოფლის მაღალ სარკმელთან

აველი—ხალხის მახარებელი!

180



ანატოლ ფრანს

საფრანგეთის უდიდესი მწერალი. ოქტომბრის რევოლუციის მებრძოლი. გარდაიცვალა პარიზში.

ანატოლ ფრანს

ანატოლ ფრანს როცა კვდებოდა გონება არ დაუკარგავს. ოთხმოცი წლის მეტრის გონება სიკვდილის პირისპირაც იყო ნათელი. „ესპრი ფრანსე“: აი ეს გონება. უკანასკნელი ლატინთა რასის ფოსფორია, შემკვიდრეობით მარტოდმარტო ფრანგებში გადასული. მისი დაქვრა სიტყვებით მწელია: თითქმის შეუძლებელიც. ეს არ არის უბრალო კუჟამახვილობა, რომელიც შუათანა ხალხს ახასიათებს. ეს არ არის ჩვეული პარადოქსი, რომელიც

უფრო მობრუნებაა „საერთო ადგილის“. ეს არის ნაჟანსი გონების, რომელიც თითქო მალულაობას თამაშობს. თვითონ გონება არსად სჩანს, თითქო უკანა მიმალული, ან უკეთ, სულიერ ატმოსფერაშია გაღობილი, —წინ კი: ხალისიანი ხაზტება და თამაში ხელუხებ ნაჟანსების. მთელი ფრანგული ჭკუა აქ არის მოცემული. რამოდენიმე ხაზტებით. იმილ ფავე ერის თვისებაზე იტყვის: „ეს უკვე ნახევარია გენიისა“. თქმა გარკვეულია. მაგრამ წამსავე



უმბატებს: „თუ არის მეორე ნახევარი“, — და საოცრება ეტრის ცეკოებს. ბარბე ღორეველი ამბობს: „რა ბედნიერებაა ქრისტესთვის, რომ იგი ღმერთია, — როგორც ადამიანს, მას ეკლებოდა ხასიათი“. ეს ლახვარია ირანის. ემილ ვერპარსს უთქვამს ბრუსუსის პოეზიაზე: „ეს არის სილა, მებაძიდუნებე გვარცემული“. ეს რომაული მედალიონია ნამდვილი. სტენდალის თქმა: „ერთადერთი მამაკებელი საბუთი ღმერთისა ის არის, რომ იგი არ არსებობს“. ნიქუსს პირდაპირ ეხარბება ეს თქმა, და დასძენს, რომ მისი თქმა შეედლო მხოლოდ „ზარატუსტრას შემქნელს—რასაკვირველია, სტენდალს რომ არ ეთქვა პირველად. მაგალითების გროვება ექნებოდა მთელი ფრანგული ლიტერატურის მოყვანა. ფრანგული ლიტერატურა არის „ესპრი ფრანსე“: სხვა არაფერი. ეს არის ინტელექტუალური რასიული ხერხემლის. „ესპრი ფრანსე“ მასკა გონების. როგორც ასეთი, იგი ირანია (არა ჰუმორი) თავიდან ბოლომდე, მოქნილი და ბასრი.

ანატოლ ფრანსის არსება ეს ქუება და ეს ირონია. მთელი დისკრეტაციის დაწერა შეიძლება იმ თემაზე, თუ როგორ სხეულდება მის ბუნებაში ლატინთა გენის ფოსფორი. შედეგებია ჰუმორესისა ერთი შეხვედრა, რომელსაც მოგვიტობობს პოლ გზელს. ანატოლ ფრანსის წვეჯა სინდისს უწინვერსიტეტის პროფესორი ფილოლოგიის ბრაუნი. იგი გამოკითხავს ფრანსის გენიალობის საიდუმლოს. ანატოლ ფრანსს ჰკვიტის საოცრებას საოცრებაში: გენიალობას ვერ ჰქმნის: ვერც კარგი წარა, ვერც დიდი შომა, ვერც შთაგონების სიმდიდრე, ვერც ქმნილის კომპოზიციად და სხვა და სხვა. თქვენ უნდა უფურო ბრაუნის ვაცეკებულ სახეს და უნდა ისმინოთ მისი ლენჩური ძახილი: „იესს“ და „აჟ“ აქ ერთი რასასა მოცემული. და როცა ფრანსს „დიდებული ვილისი“ (შექმნის) მაგალითი მოჰყავს, რომ მასაც მოსილიად ბავშური შეტეომები, პროფესორის აცეკვტილი ყურები და წამოკაკული თანამები თითქო ვიდაცას რადაცას ევედრებთან. უკეთესს სავაბაბას კაცი ევი იხილავს: ირონისტო ფრანგი და ზღაგვი პროფესორი...

ანატოლ ფრანსს სხვა მხრითაც იყო ლატინთა გენის სატარებელი. ლატინელები უთავრესად მხილველებია სხეულყოფილი ფორმების. ანატოლ ფრანსს ჰქონდა მათი თვალის და მათი მზერა. მას უყვარდა ხილული მკვებანა. ქვეყანაზე იგი მზერდა ნივთებს. ნივთებს შორის იგი ხედავდა ქმნილ შედეგებს. თვითონ მისი შემოქმედება ნივთებთანაა, დაკავშირებული. პოლ გზელის ცნობა: „ტრანს“ „ეკუთვნის ჰელლენურ ტრანსებს, წითელი ზამბახი“ იტალიურ ფიანისს, „ჟანადა დარაჟ“ მეთუმეტე საუკუნის ქსოვილებს, „ღმერთებს სწურიათ“ ლუდოიკო მითეჟენსკიტის ავეჯეულობას. ბოლო ხანებში მისი გეგმა დაიფილო თავის კაპრიზებით მეფორმატე საუკუნის სტილმა. ქმნილ შედეგებში მას უყვარდა წიგნების მეტად. ბუკინისტის შვილი, იგი ბუკინისტ შორის ვაიზარდა: სენის ნაპირზე ლუდის პირისპირ. რომელიმე ძველი წიგნი („ინ ფოლიო“) მისთვის ბევრად უფრო საყვარელი იყო ვიდრე მზის ატყურება და სურნალოვან დროგადისულ პაპირუსზე იგი აღბადა ლამაზ ქალსაც ვაცეკვლა. მის მწერლობა ბუკინიზმის გენიაა. ანატოლ ფრანსს ჯიშია პირველ ყოვლისა. როგორც მწერალი, და გვარულ შემოქმედებას იგი, ცხადია, წიგნებიდან წიგნებში უფრო გაა-

გძელებდა. იგი გამოდის წიგნებიდან და ლაპარაკობს ნივთებზე. თუ კიდევ დაეჯერება ოსკარ უაილდს, რომ ნივთზე ლაპარაკი ბევრად უფრო ძნელია ვიდრე თვითონ ნივთის შექმნა, მაშინ ანატოლ ფრანსზე უდიდესს შემოქმედს ძირადად თუ ვინმე ნახავდა. მისი რომანი, თუ მოთხრობა, მართლაც რომ გენიალური მუსიკათა: გენიალური, მაგრამ მინც მუსიკაიგი.

მონტენს „სწერს“, როცა სწერს. რაბლე „ლაპარაკობს“ როცა სწერს. ცნობილია ეს სხვაობა. რუსეთში რაბლეს მაგალითი ვასილი როზანოვი. ანატოლ ფრანსს რაბლედან არის გამოსული; იგიც „საუბრობს“. მხოლოდ რაბლე ბაყაყ დეგია ლიტერატურული მოსაგალის, ანატოლ ფრანსს კი მოდუნებული ეპიკურული სავეს საწნახელთან მისული და უფობების ტევრების მსუნთქევი. საოცარი მოთხრობა აქვს ერთი ფრანსი. პილატე რომშია დაბრუნებული და ვიაცეკვს მას იუდეას ლეგებს. „გახსოვს იესო ნაზარეტელი მეუფე ურიათა?“ შეეკითხება. პილატე თითქო თავს ძალას ეტანს, იგონებს, ბოლის ხელს გადაქნევს უნდოვრელი და იტყვის: „არა, არ მასსოვს!“ აქ პილატე პირდაპირ გამოკრილია. მართლა არ ახსოვს?! ან თუ ახსოვს, პოზს ემორჩილება?! სულ ერთია: ეპიკურელების პირველი დევიზი „ნილ აღმირიანა“-ა. პილატე აქ რამოდენიმე თვითონ ანატოლ ფრანსია: მიდღური ჩემი და რამოდენიმე „განხუმდგომი. აქ არის მისი სხვაობა. რაბლე მორღვეული დინარია, ყველაფერი ერთს მოაქვს. ანატოლ ფრანსს დაწმუნდელი ნაკალფი, ეტრუსკის ვახაში ჩასხმული. მაგრამ „მოსაუბრეს“ ორივე. პირველ სხვაობას თან სდევს მეორეც: ანატოლ ფრანსს არ აქვს დიდი ფანტაზია. რაბლე თუ „ლაპარაკობს“, იმავე დროს მოუთხრობს იგი სხვა და სხვა ამბებს. ანატოლ ფრანსს „ლაპარაკობს“ და „საუბრობს“. აქ ამბავი ნაკლებათაა, საუკეთესო მისი რომანი „შედიკოს დიდოვალის სარადეო“ საუბარია უმთავრესად ამატე ეტრისა: შესანიშნავი, მაგრამ მინც საუბარი. როცა ფრანსმა ერთი მეგობრისაგან მიიღო ბალზაკის მოყვარულთა მიერ გადგენილი „რეპერტური ადამიანური კომედისი“, მის გაცვივრებას საზღვარი არ ჰქონდა: აქ იყო შეკრვილი ორი ათასი გმირის ბიოგრაფია. ანატოლ ფრანსს ვერც კი წარმოეგინა, რომ ერთს ადამიანს შეედლო ამდენი ხალხის შექმნა და სკეპტიკურმა ავტორმა ბალზაკს „ღმერთი“ უწოდა. ნათელია—რის გამო.

ფრანგული ლიტერატურა არის ფრანგული ენა. ასე ფიქრობდა ანატოლ ფრანსი. იგი მიუთითებდა თავის ბიბლიოტეკას: „აი ჩემი წყაროები. თქვენ აქ იპოვით დიდეს და გულისხმიერ მწერლებს, რომლებიც ლაპარაკობდნენ კარგი ფრანგული ენით, ესე იგი, რომლებიც კარგად აზროვნებდნენ“. ფრანსის აზრით, კარგი ფრანგული და კარგი აზრი ერთადეივითაა. ენის აპოლოგია ამაზე შორს ვერ წავა: ყოველ შემთხვევაში—ენის გრძნობა. მოპასუნის შესახებ იცა სწერს: „რაც შეეხება მოპასუნის ენას, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს ნამდვილი ფრანგული ენაა, რადგან არ ვიცი სხვა უფრო უკეთესი ენა“. ასეა შეხვედრილი ანატოლ ფრანსს ფრანგულ ენას და ასე უყვარს იგი. თქვენ წარმოიდგენთ ფრანსის ვიცეკვას, როცა მას ერთმა ახირებულმა მიმართა—მიეცა მისთვის რომელიმე რომანი ექვპრანტიტოე სათარგმნელად. ენა, რომლითაც მეტყველებდნენ: მონტენ და რაბლე, სენსიმან და შატობრიან



რონსარ და ბოდლერ, სტენდალ და ფლობერ,—და უეცრად გუტაპერჩის სიტყვა ექსპანანტო! წარმოდგ. მაქვს ფრანსის ჩემი რისხვა და ირონიის წყველი. ლიტერატურაში ანატოლ ფრანს არის სტილი და გემო: სტილის მხრით—არა-ვითარო სიპარე, გემოს მხრით—არაგიზობრი ბაწლანა. ანატოლ ფრანსის სტილი მკვეთრია, მაგრამ იგი არ წააგავს ჰერცოვ სენ-სიმონის სტილს, რომელიც ჰკვეთს მათ რახებით. ანატოლ ფრანსის სტილი ფერადი და ხატოვანია, მაგრამ იგი არ წააგავს სენ-ვიქტორის სტილს, რომელიც ვაჰანალა არის ფერების და ხატების. ანატოლ ფრანსის სტილი მტკიცედ ნაკეცია და მარჯვედ გამარ-თული, მაგრამ იგი არ წააგავს ფლობერის სტილს, რომლის ნაკეცობა რეალისა და გამართულობა სპირალის პირველთან შედარებით ფრანსის სტილი უფრო მორიდებულია, მეორესთან შედარებით—უფრო ზომიერი, მესამესთან შედარებით—უფრო მსუბუქი. ანატოლ ფრანს არც ზომავს და არც წონავს სიტყვას. მისთვის სიტყვა უფრო ჰვანის სივარა. ეს—ისე“. თუ კი სინჯავა დაუწყეთ მის ფრაზას, შესაძლოა ხშირად დამასკის რკინა მოგხვდეთ ხელში, რომლის ტარს, თუ დაგვირდათ, წვერი უტყენს ლუში გველივით, და რომელიც შემდეგ კრალით გაიშლება. ანატოლ ფრანს არის თვითონ ზომა უსაშველო-მისი გემო უღვათა. ცნობილია მისი ზიხითი, როცა პარ-ნისილებს ვიქტორ ჰუგო მანაღური წვერი გაუტავანა, წვერილი ჰუგოს არ ეგონათ. ვიქტორმა: თუ სხვა ვინმემ იმასხრო. მაგრამ საუბედროდ ვიქტორის გამოდგა.

შეიძლება ითქვას: ანატოლ ფრანს იყო უკანასკნელი დიდი მწერალი საფრანგეთის. იგი არ იყო არც ეპი-გონი და არც ალექსანდრიტი. თუ სტოვეებს ხანდახან ასეთს შთაბეჭდილებას, ამის მიზეზი სხვა რამაა: თითქმის პრობლემა მთელი ფრანგული ლიტერატურისა. ეს—არა ფრანსა! მასკა ვანების. მასკის პირით მტკიცელებს მარტო ირონია. ირონია ჰკლავს პათოსს. ხოლო პათოსი საზღვარის გადალახავია. მართალია: იქ, საცა ჰკუთა არ არის, პათოსი სასაცილოა მხოლოდ. მაგრამ ისიც მართა-ლია: იქ, საცა პათოსი არ არის, ირონია ანალიტიკაა მხო-ლოდ. ანატოლ ფრანსს აქვს ირონია, მაგრამ მას არ აქვს პათოსი. მან არ იცის, რა არის დიდი ვნება. იგი ყოველ-

თვის „ჭკვიანია“ და მისი ლოგიკა დიამოლიკაა. მან არ იცის, რა არის რეალის გარღვევა. მან არ იცის გახლებლა. არც ერთი დიდი პრობლემა, რომელიც მიწის პლანეტას აწვავლებს, მას არ სტანჯავს. იგი მას ისე ექცევა, როგორც ძელი მაგი ვველს: ვააჩერებს, ხელს გადაუსვამს, გველს დააცლავინებს და გაუშვებს. ხოლო მას გესილი არ ხვდება. ვატანჯავ პრობლემით კი აუცილებელია შემოქ-მედისათვის. აქედან ერთი ხაზი: ანატოლ ფრანს როგორც მწერალი ათჯერ უკანონო უკეთესია ვიდრე ვილიე დე ლილ-ადან, მაგრამ უკანასკნელი თავის ვიზიონერული ხილვით ათჯერ უფრო გულსხმიერია ვიდრე ანატოლ ფრანს. შესანიშნავი დიდი ფრანსის შეხვედრა ოგუსტ რო-დენთან. უკანასკნელი ნამდვილი სახე იყო დიდი შემოქ-მედის. ანატოლ ფრანს ირონიით შეხვდა ერთს ამბავს. როდენმა დამაზდა ვიქტორ ჰუგოს ძეგლის პროექტი. მივიდენ სანახავათ. ღამით ნიადაგი ჩასულთიო და მივილი ტანით ამართული ჰუგო ტოლახში ჩაფლულიყო. უფრან-ლისტებს შესანიშნავად მოეჩვენათ: ტლახიდან ამოღისო. როდენის ინტუიციი სტიქიონს მიეწოდ და ძეგლის პრო-ექტი არ აღუდგენია პირვანდელი სახით. ანატოლ ფრანს კი ქებაზევით მიაფრ ირონიას აწვევთებს აქ ქვევს. ბო-ლოს და ბოლოს ვინ არის აქ მართალი: მთლიან ანალი-ტიკით მოკუნთული ფრანს, თუ ზეკაცური ნაივობით ნე-ბაგალხობიანი როდენი? მე გმონია, მეოჩე. ანატოლ ფრანს ბარონ დენონის შესახებ სწერს: „მას აკლდა ცოდნა ნა-პირების გადალახვის“. ეს ნაკლი თვითონ ფრანსის ნაკ-ლია. შეიძლება ეს იყო მისი „ფრიდი“ და მისთვის უყვარდა მას ყოველის გადალახავი ენებინი ყან ჟორესს ზოგს სისხლის გამოშვება ექირევა. ზოგს ეს სისხლის შესხმა. ანატოლ ფრანსის რასს მოდუნებულია და შეიძ-ლება შეუცნობლად სწყუროდა მას ჯიშის სისხლის განა-ხება. მე გმონია აქ იმალება უმთავრესად მისი მიღება რუსეთის დიდი რევოლუციისა! მაგრამ ეს ცალკე ექსკურ-სის საგანია. ერთად ერთ წამს უღალატა ანატოლ ფრანს-მა თავის თავს: სიკვდილის წინ ზმირად დედას იხსენებ-დაო. მაღად სიკვდილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე ფრანსის ღიმილიანი ირონია.

გრიგოლ რობაქიძე.

საპაღიური ვიწიბუგი აოლ გაველი

ახალი აკადემიური არჩევნების დაწყობისას კანდი-დატები ჩვეულებრივ დარბაზობას უხდიან ბატონ ბერე-რეს. მათ ციან, რომ კარგა ხანია რაც იგი აღარ დია-რება სანაპიროს კუთხეში და არავითარი მონაწილეობა არ იღებს კენჭისყრაში. მიუხედავად ამისა, მისი დიდების პატივი მათში იმდენათ ძლიერია, რომ ისინი მაინც დაე-ძებენ მის ხმას.

ეს—ჩვეულებაა, რომელსაც ვერაინც გადაუხვევს, თვი-თონ ბატონი წვერებიც კი სასულიერო წრიდან. (შემოღვის ედმონდ აროკური, თამაზ პოეტის „სქესთა ლემენების“).

აროკური—ვერეინ მიხედვებოდა დაიწყო აროკურმა, რომ ჩემს დარბაზობას თქვენთან—მიზნად აქვს აკადემიის კანდიდატობა.

ფრანსი ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ ჩემი ფეხი არ გადავმულა მაზარინის სასახლეში?

აროკური—მიზნართი ძვირფასო მეტრო, არ შეგე-ძლებოდათ თქვენ რომ...

ფრანსი „ყური დამიგზობა, ჩემო ძვირფასო მეგობა-რო, ვეკარენიც კი ვეღარ მიტონბენ. მართლა და, აი სა-უკეთესო საშუალება... ვთხოვთ გაგაცნოთ ჩემი რუსი მე-გობარი ს.“

ს. (უზარმაზარი, შავი დაშვებული წვერით, ესალ-მება აროკურს).

ფრანსი ჩემი მეგობარი წამოვა ჩემს მაგივრა აკადემიაში და იტყვის, რომ ის არის ანატოლ ფრანსი... არა, მართლა, ჩემთვის უზერხული იქნებოდა, რომ მარტო ხმის მისაცემბა წამოგსულიყო. „საწყალო მეგობარა... თქვენ, რასაკვირველია, გყავთ უფრო არსებითი ხმები. ენახოთ, თუ ენი გვეყოლებათ. მოვიგონათ აკადემიკო-სების სახელები. უბედურება იმაშია, რომ ისინი სრულიად უცნობნი არიან“.



აროკური—მე ყველა მათგანს ვიცნობ.

ფრანსი „შეუძღვებელია“.

აროკური—პატროსან სიტყვას გაძღვეთ. ყოველს არ დადებენ, პარიზში დაითურება ნახევარი ღუნენი უბედური, რომელნიც იზებებენ „უკვდავთა“ სრულს სისას, და რომელნიც დადიან სახლიდან სახლში კარების საკაქუნებლათ.

ფრანსი „თქვენდა სასუფეშებლათ ხომ არ გინდათ გაგახსენოთ მშვენიერი ადგილები ვინაჲს „პოეტის დღიურიდან“, სადაც მან ჩასწერა თავისი დარბაზობა რუაიე—კოლონიარიათა?!

აროკური.—მე ვიცი ზებიარად. რა დიდებული ბუფონანდაა. მიხუცი რუაიე—კოლონიარ, ჩათბილებული მამაპაპურ ხალათში, შვაი პარიკით თავზე უღებს კარებს ვინაჲს, რომ უთხრას: „მე არ შემბილიან შემოვიშვათ თქვენ, ბატონო, რადგანაც ეს არის მივიღე წამალი“. და თან უმატებს „თქვენ ჩვენთან არავითარი შანსები არა გაქვთ“. სხვათა შორის, თქვენსა ნაწერებსაც არ ვიცნობ, იმიტომ რომ, აღარაფერს აღარ ვკითხულობ უკვირდათი წლითა. ჩემს წლებში, კი აღარ ვკითხულობენ, მხოლოდ გადაკითხვას უნდებოდა“.

უსათუოდ.—ვანაგრძობდა აროკური, —რომ ვინაჲს—ღროლიან არაფერი არ შეეცდოდა. ვინაჲ სჩიოდა, რომ რუაიე—კოლონიარ არ ვკითხულობდა მის ნაწერებს, და ვგრძნობ დარბაზობისას მულდა, რომ უკვდავთა რიციხიდან მეგრისა არ იცის მწერლობა. ეს სამეფხარია.

ფრანსი „მეტი რაღა გინდათ? არასდროს, თითქმის არასდროს აკადემიკოსებს არ ვაღუშლიათ კანდიდატების წიგნები.“

ყური მივღეთ, ლეკონტ დე-ლილი ღმერთმაგინებულნი, „მარბაროსული პოემების“ ავტორი, აირჩიეს, როგორც ქრისტიანული პოეტი. გარწმუნებთ თქვენ. მე გეუბნებით ამას, როგორც მომსწრე. მე ყოველს ნაბიჯზე თვალს ვადევნებდი მის არჩევნებს. მე ვიყავი სენატის ბიბლიოთეკის მდივანი, საცა ის იყო მცველად.

ის აირჩიეს მხოლოდ ჰერკოვ დე-ბროის წყალობით. ჰერკოვ დე ბროიმ იცოდა, რომ ლეკონტ-დე-ლილი იყო პოეტი. როგორ გაიგო მან ეს? დღემდე ეს მე ვერ ამიხსნია.

—ჩვენ ვლაპარაკობდით ერთს პოეტზე,—აცნობა მან თავის კოლეგებს“. აქ ფრანსმა წაილაპარაკა წერილი, მევეთრი ხმით ჰერკოვის მიბაძებით.

—ეს პოეტი, რასაკვირველია, სპირტუალისტიკა. რადგანაც ყველა პოეტები სპირიტუალისტები არიან, სპირტუალიზმი, ქრისტიანობა,—ეს ერთი და იგივეა. ასე, ჩემი ლეკონტ-დე-ლილი—ქრისტიანი, კარგი ქრისტიანი. მე ვაძღვე მას ხმას. მომბაძეთ მე!!

—უნდა გითხრათ თქვენ, ჩემი ჰერკოვ დე ბროი იყო ატაცებული ქრისტიანი და თანაც ცეცხლიანი ტემპერამენტი. ერთხელ ექიმმა ურჩია აიყვანა საეკრედიო, რომ ცოლის საძებრო ჯანმრთელობას გაფრთხილებოდა. ჰერკოვმა იფიქრა და მერე უტბათ უპასუხა:

—მაშ, ძვირფასო ექიმო, გვეფიცებით პატროსნებას, მე მირჩევნია დავკარგო ჩემი ცოლი, ვიდრე ჩემი სული. ლეკონტ-დე-ლილის არჩევნებს იბღიბო ვქმნოდა, ერთი ასეთი ბედნიერი გაუგებრობითაც. უკვდავთა უწრავ-ლესობამ რომელმაც ხმა მისცა მას, როგორც მე მით-

ხრეს. მიაწერეს სიული-პრიოდომის „გატეხილი ვახა“—აროკურის სახეს ვაკვირება დაეტყო.

ფრანს.—„მაგრამ უმეტესად, ჩემო ძვირფასო მეგობარო,—ეს თქვენც კარგად იცით, ისევე როგორც მე,—არჩევნები მულამ პოლიტიკურია“.

აროკურ.—რათა ძვირფასო მეტრო, თქვენი არჩევნები—პოლიტიკური არა ყოფილა.

ფრანს.—პირიკით, უფრო, ვიდრე სხვისიმე, მაგრამ ამაზედ ღირს ვრცლად ვილაპარაკო.

ლუი ალვეი რომელიც იყო ჩემი ძმური მეგობარი, მიმეორებდა ვანუფევეტილი: „არისთვის უწყობი აკადემიკოსუნდა მისი წვერი გახლდეს. ეს ერთგვარ შნის აძლევს წიგნის ყდას. წამოაყენეთ თქვენი კანდიდატურა. ჰქენით ეს ჩემთვის. ჩემთვის უხერხულია ვიყო უკვდავი, მაშინ როცა თქვენ არა ხართ უკვდავი“.

იგი მულამ ისე მიმეორებდა ამას და ისე კარგად, რომ მე დავწყვი ჩემი განცხადება. მე მიველი მასთან წასაკიობად.

—არა,—მითხრა მან,—თქვენი წერილი ვერ არის დაწერილი იმ ფორმით. მომეცით მე შევასწორო როგორც საჭიროა.

—და, ვანგებ, ჩასავა მასში, სამი თუ ოთხი ისეთი მაგარი შეცდომად ფრანგული ენის წინააღმდეგ, რომლებიც ბარუქინადლენ, ყაყარბივით ყვანაში.

—აი,—სთქვა მან,—ასეთი წერაა საჭირო. მაგრამ ეს კიდევ საგნო არ არის, უნდა ვიცოდეთ, ვინ გვეულებათ თქვენად.

მან შეადგინა სია და შეუდგა აურიცხველ ჩანიშვნას. —მე მე,—ამბობდა იგი.—ეს სამძიმო იქნება. ეს წამული ჰერკოვები უგრამისად ჰქვენ არ ჩაგუბაპვენ.

მე შეუდექი ჩემს დარბაზობას. ალვეი ხელმძღვანელობდა. ყოველ დღით მიმდიოდა ბარათები: „მიდით ამასთან და ამასთან. შეიარეთ, შეიარეთ კიდევ იმასთან“.

ბოლოს, ერთხელ მე დავინახე ეს განათებულნი.

—მოდის,—წამოიძიხა მან, ხელების ფშვნიტით,—ჩვენ ისინი ხელში გვიკვირავს.

—ვინ ისინი? —ჰერკოვები. ყური მივღეთ. არის ორი სავაკანტო სავარძელი. აკადემიის უკიდურესი მემარცხენე ასახლებს თქვენს კანდიდატურას ერთს მათგანზედ. ჰერკოვებს აჩვენებ მერის ღირსეულ აზნაურს, ძველი გვარიშვილობისას მაგრამ სრულიად უეცრს ლიტერატურაში. მაგრამ ადვილათ ვერ მოგვბამენ თავზე.

ჩვენ მათ უთხარით: —გინდათ, რომ უკიდურესმა მემარცხენემ ხმა მისცეს თქვენს აზნაურს? მიეცით ხმა ანატოლ ფრანსს. სამსახურზედ სამსახურო.

—პატრონისი! ისინი შეთანხმდენ. მე ვახარებულნი ვარ. ეღარაზეთ ჰერკოვებს: მათ წინააღმდეგ იციან. მაგრამ, მთავარი ეს არის, არ ილაპარაკოთ არც რელიგიაზედ, არც პოლიტიკაზე. სთქვით: ვინ ანათებს. ან კიდევ—ქარი ჰერის. წევმა მოდის. ყინვაა... მოიკითხეთ დიასახლისის ფინიების ჯანმრთელობა. ასეთივე დარჩენა მიეცა აზნაურსაც.

ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც მას ქონდა ვანობილი. აზნაურები და აზნაური აირჩიეს ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე ხმებით“.



არაკურ. სულ ერთია, აკადემიამ დაიმსახურა პატივი თქვენი არჩევით.

ფრანს (ხელს კიდებს) „გმაღლობთ, ძვირფასო მეგობარო, მე კიდევ განვაგრძობ, რადგან გავრძელება არსებობს.“

იმ ხმებში, რომელიც იყო შეპირებულ ჩემთვის, ერთი ხმა არა სჩანდა: ხმა ანრი დე-ბორნიესი. რადგან ეს პატარა ლალატი გაქვეყნდა, მან მონიღომა ჩემთან ბოლომის მოხდა.

— ძვირფასო ბატონო ფრანს, — (დაიწყო მან), — მე ხმა არ მიმიცია თქვენთვის.

— მაპატიეთ, ბატონო დე-ბორნიე, მივიღე თქვენი ხმა.

— არა, — სთქვა მან შეწყუბებით.

— გარწმუნებთ რომ... თქვენ არა ხართ აზნაური, ბატონო დე ბორნიე?

— რასაკვირველია, მაგრამ..

— ხომ თქვენ ხართ პოეტი სიტყვის?

— უშუკველია, მაგრამ..

— პო და, შეუძლებელია, რომ თქვენ მოქცეულიყავით წინააღმდეგ თქვენი შეპირებისა. თქვენი ხმა მივიღე ბატონო დე-ბორნიე, თქვენ აკი მომეცით ხმა..

ის წვიღა დარცხვნილი. მაგრამ მე საკმაოდ ვერ ვიციდ შური და მხოლოდ ველოდი შემთხვევას, რომ შუ-რისძიების წყურვილი მომეცოდა.

მე ვიპოვე ეს შემთხვევა ლექსიკონის შესადგენად გამართულს ერთ-ერთ სტამბაზე..

ჩემო ძვირფასო არაკურ, თქვენ, რასაკვირველია, მიიღებთ მონაწილეობას ლექსიკონის შედგენაში. იმიტომ რომ თქვენ იქნებით აკადემიკოსი. ყოველთვის ღებულბენ მას, რაც ძლიერ სწყურიათ.“

არაკურ ნეტავ თუ!

ფრანს. — ეგვი ნუ გეპარებათ ამაში. და მე გისურვებთ კარგად იმხიარულოთ ამ მშენებელ სტამბებზე.

ჩვენ სულ ვისხედით ასო აზზე; რადგანაც სამუშაო დღე გეშპობთ ქვემოკლავა. ვადგენდით სიტყვას: anneau — ბეჭედი.

თავმჯდომარეობდა ჰერცოგი დე-ბროი.

ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა შემდეგი განმარტება:

ბეჭედი — ლითონის ნაჭერი მრგვალი ფორმისა. მე წყებაზე მაგალითი განმარტების ასარევეად. ასევე სხვებზე მაგრამ მე იმუღებელი ვიყავი გაეწუმებულიყავი. მაშინ თავში მომიარა ჯოჯოხეთურმა აზრმა.

სწორედ ჩემი მეზობელი სავარძელით იყო კეთილი ბორნიე, ის ხეივანედა როგორც ოღრანოს საყვრი. მე დინჯად წვაკარი ხელი:

— ამათ ავიწყლებათ ჰანს კარველის ბეჭედი.

— როგორ, რა? — შემიცოხთა თვალების ფშენვით.

აქ ფრანსმა გახსნა ფრჩხილები.

— თქვენ ყველამ იცით, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ეს მეტად ორ-აზროვანი ისტორია. თქვენ წაგვიკითხავთ პანტაგრიფელის მესამე წიგნში. საბარლო პანსკარევი, რომელმაც სიმერეში შეირთო ახალგაზრდა ქალი იტანჯე-ბოდა იქვიანობით. როგორღაც დამით, როცა მას ეძინა თავის ცოლის გვერდით, ეშპამა სიზმრად გადასცა მშვე-ფორი ბეჭედი: „ჩამიკვიცი თითზე ეს ბეჭედი; ვიდრე ეგ

გეკეთება, შენი ცოლი შენი ერთგული იქნება“, სიხარულში დღიღებმს საწყალი ჰანსი და ესმის, როგორ ემუღარება მას ცოლი: „მეცარა. გეყოფა. გევეწყებო“. მაგრამ დე-ბორნიეს რაბლე არა ჰქონდა წაკითხული. მე გაუმეორება:

— მათ ავიწყლებათ ჰანს კარველის ბეჭედი უნდა მოვავანოთ. — და სრულიად ეგემიულეზლა მიხუტვა წამოიყვრა:

— ბატონებო, თქვენ გავიწყლებათ ჰანს კარველის ბეჭედი.

განსა მფრთხილი სიცილი.

ჰერცოგ დე-ბროი, რომელმაც თითონ კარგად იცოდა რაბლე, იყო მეტად ზრდილი და დაუწყონებლე ამოსილე ლაგამი უღადგილო ხუმრობას.

— განვაგრძობთ ბატონებო, — სთქვა მან უშპაყოფილოთ.

ერთი წამის უჰან მე ჩაჭურჩულე ბორნიეს:

— ეგრე გაიკონეს თქვენი ნათქვამი, — ვუთხრა მე.

— ბატონებო, ბატონებო, წამოიძახა მან მზრუნველობით, — თქვენ გავიწყლებათ ბეჭედი ჰანს კარველის.

ახლა კი ატყდა საშინელი ხარხარი.

— რა დანებარა, — მკითხა ბორნიემ.

